სახალხო გაზეთი

№ 832 ოთხშაბათი, 27 თებერვალი 1913 წ. № 832

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ 20 კ., უკან 10 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო-ჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა ,,შრომა"-ში, მუხრანის ქუჩა, და ეღირება 4 მანეთი.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და მ. მეტცლ და ამხ.-ბის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება ,,სახალხო გაზეთი"-ს რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე. საღამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ-დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: ტფილისში, სასახლის ქ., სარაჯიშვილის სახ. № 6. ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისოვის: ტფილისი, ქართული ,,სახალხო გაზეთი" 190.

ტელეფონი №12-29

გაზეთის ფასი წლიწ. 8 მ. 50 კ. ცალკე № ყველგან 5 კ.
,, ,, თვეში — 75 კაპ. დამატებიანი 7 კ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა.

სახალხო გაზეთი ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო

მიიღება ხელის მოწერა 1913 წლისათვის.
ყოველ-დღიურ გამოცემის გარდა 1913 წელსაც
გაზეთს ექნება
სურათებიანი დამატება
(კვირაობით)

პრემიად 1913 წლის ხელის მომწერთ მიეცემათ ორი წიგნი

1) უცხოეთის მწერლები (400 გვ.) ამ კრებულში მოთავსებული იქნება თხზულებები შემდეგ გამოჩენილ მწერლებისა—**კნუტ ჰამსუნისა, არტურ შნიცლერისა, ჰენრიკ სენკევიჩისა** და სხვათა.
2) **ქართველი ერის ისტორია**, პროფ. ივ. ალ. ჯავახიშვილისა. პირველი და მეორე ტომი ერთს წიგნად, სურათებითა და ძველი საქართველოს რუკით.

გაზეთის ფასი წლიწადში 8 მ. და 50 კ. ცალკე № შაურად. დამატებიანი 7 კაპ.

12 თ.	11 თ.	10 თ.	9 თ.	8 თ.	7 თ.	6 თ.	5 თ.	4 თ.	3 თ.	2 თ.	1 თ.
8.50	8.	7.50	6.75	6.	5.25	4.50	3.75	3.	2.25	1.50	.75

საზღვარ-გარეთ თვეში ზედ-მეტი 50 კაპ.

ადრესის გამოსაცვლელი ფასი ტფილისისა ტფილისს გარედ, ან ტფილისის გარეთისა ისევ ტფილისის გარეთისაზე. 40 კაპ.

დანარჩენ შ თვეებში უფასოდ.

ათი შაური უნდა გადიხადოს კიდევ იმ ხელის მომწერმა, რომელსაც სურს მიიღოს ფოსტით ორი საპრემიო წიგნი. ვინც რედაქციის კანტორაში მიიღებს პრემიას, იმას ეს ფული არ გადახდება.

წლიურ ხელის მომწერთ გაზეთის ფასი 8 მან. 50 კაპ. შეუძლიანთ გადაიხადონ. ნაწილობით **მხოლოდ** შემდეგ ვადებზე უნდა იყოს გადახდილი: ხელის-მოწერისათანავე 3 მ.; 1 აპრილამდე 2 მ.; 1 თიბათვემდე 2 მ. და დანარჩენი 1 მ. 50 კ. 1 ენკენისთვემდე.

გაზეთის გ მოწერა შეიძლება მხოლოდ თვის 1 რიცხვიდან. მხოლოდ სრული თვეებით და არა უმეტეს 1913 წლის გასულისა.

ხელის მოწერა მიიღება:
1) **,,სახალხო გაზეთი"-ს კანტორაში,** სასახლის ქ., სარაჯიშვილის სახლი, შესავალი ეზოდან).
2 **ქ. შ. წ.-კ. ს. მთავარ გამგეობის წიგნის მაღაზიაში.**
3 **ფოსტით:** Тифлисъ, газ. „Сахалхо Газети". П. Ящ. 190.

დილის 9—10 ს. ღარიბები მიღება უფასოა.

დოქტორი მედიცინისა ბერლინის უნივერს. **გ. გ. მეგრაბიანცი**

წამლობა ძლექისა. იღებს შინაგან სნე. ჰლექთა და გულით ავადმყ. **წამლობა ტუბერკულინით, რადიის პრეპარატებით** და **პნევმოტორაქსით.** იღებს ყოვ.-დღ. **ახალ ბინაზე** დილ. 9—1 ს. და საღ. 5—8 საათ. ადრესი: **სოლოლაკი.** ბებუთოვის ქ., № 23 (განოვის ქ. **ტელეფ.** კუთხე). 7—97. 97.

ტფილისის კერძო სამკურნალო

ახლად გადაკეთების შემდეგ, ავადმყოფები მიიღებიან
ძველი ის ქუჩა, საკუთ. სახლი, № 7, მიხეილის პროსპექტისა
და მეტეხის სასტუმროს ახლო.
ტელეფონი № 590.

სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით, ცალკე ნომრებით და საერთო ოთახები განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილება.

მწოლიარე ავადმყოფთა მიღება შეიძლება ყოველ წამს, გარეშე მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი ექიმები-სპეციალისტები:

შინაგანი სნეულებანი	**დბვითიანი რ. ხ.** (ყოველ დღე) 1—2. **მანსვეტაშვილი ვ. მ.** (ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ.) 2—3. **მაღალაშვილი გ. გ.** (სამშაბ. და შაბათობით) 10—12. **მიქელაძე შ. ა.** (ყოველ დღე) 12½—1. **ფედოროვი ე. გ.** (ყოველ დღე, გარდა ოთხშაბ. და კვირისა) 12—1.
ქირურგიული სნეულებანი	**მარკევიჩი გ. ლ.** კონსულტანტი (ყოველ-დღე 11½—12½.) **მელიქიშვილი ნ. მ.** (ყოველ დღე) 10—1. **ფირადოვი რ. ა.** (ყოველ დღე) 12—1. **ექ. ქალი ენგელ-მელიქ-შახნაზაროვისა ე. ა.** (სამშ. ხუთ. შაბ.) 11½ 12½.
ქალთა და სამშობ. სნეულებანი	**ექიმი-ქალი ვერბიცკი-ფირადოვისა ლ.** (ყოველ დღე) 11—12. **თაყაძე ა. ე.** (ყოველ დღე) 1—2. **მელიქიშვილი ნ. მ.** (ყოველ დღე) 10—1. **სულაძე ა. ი.** (ყოველ დღე) 12—1.
ბავშვთა სნეულებ.	**ექ. ქალი ბაქრაძე-დედაბრიშვილისა** (ყო დღე, გარდა ოთხ.) 1—1½ ს. **მიქელაძე შ. ა.** (ყოველ დღე) 12½—1. **ფედოროვი ე. გ.** (ყოველ დღე გარდა ოთხშაბ. და კვირისა) 12—1.
ნერვ. სნეულ. და ელექტ.	**გედევანიშვილი მ. ა.** (შაბათობით) 10½—11. **დბვითიანი რ. ხ.** (ყოველ დღე) 1—2. **ფონდოევი, გ. ს.** (ყოველ-დღე) 1—2 ს.
ყურ. ყელ. ცხვ.	**ათენიანცი ნ. ა.** (ყოველ დღე) 12½—1½ **ტრემბოვსკი ნ. ს.** (ყოველ დღე) 1½—2.
თვალის სნეულ.	**მუსხელიშვილი გ. ს.** (ორშაბათობით, ოთხშაბ. და პარასკ. 2—2½.
კან. ვენერ.	**დიასამიძე ა. ნ.** (ყოველ დღე) 11½—12½.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი სამიკროქიმიო და საბაქტერიოლოგიო ლაბორატორია. სისხლის გასინჯვა, ათაშანგ. **Wasserman.** რეაქციისათვის 50 კ., საწოლები 2 მ. დაწყებული. ცალკე ოთახი 5 მანეთიდან. მშობიარობა 10 დღე წოლით ღირს 40 მ. ოპერაციები, კონსულიუმი, შარდის ბუშტისა და მილების კატეტერიზაცია; ,,606" 914 და **წამლის შეშხაპუნება,** ელექტრონით წამლ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შეღავათიანი საფასურით. **წ.** 1035

გამოსულია და იყიდება
ი. გედევანიშვილის პიესა
„გ ა მ ც ე მ ი"
დრამა 3 მოქმედ. ფასი 25 კ.

ს ა ჭ ი რ ო ა

ჭიათურის სამრეწველო
საავადმყოფოსათვის
საფერშლო სკოლაში კურს დამთავრებული და მასთან სპეციალურად მასსაჟის მცოდნე
გამოცდილი ფერშალი.
ჯამაგირი ბინის ქირიანად ექნება
თვეში 65 მანეთი,
ყოველ ხუთი ლის სამსახურისათვის ემატება 20% ჯამაგირისა, შეუძლია ჩაირიცხოს წევრად მრეწველთა საბჭოსთან დაარსებულ მოსამსახურეთათვის **შემნახველ-დამხმარე-გამსესხებელ** **კ ა ს ს ი ს ა.**
თხოვნა და საჭირო დოკუმენტები უნდა გაეგზავნოს ჭიათურაში საავადმყოფოს გამგე ექიმს ს. დ. ჯაფარიძეს ამა წლის 10 მარტამდის. 1073.

გამოსულია და იყიდება
ნ. შიუკაშვილის
პიესა „მეძოვრობა", დრამა 4 მოქმედებ.
ფასი 30 კაპ.

საგურთალიძე

მშვენიერ ალაგს, ახლად აშენებულ ეკლესიისა და დიდუბის მომავალ ხიდი მახლობლად დაიყრა 20 დესეტინა მამული და იყიდება წვრილ ნაჭრებად ხელმისაწვდენელ ფასში.
მსურველთ შეუძლიანთ იხმარონ ოლღას ქუჩაზე, სახლი № 6, სოლომონ ივანეს ძე **თაქთაქიშვილს,** დილის 8 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. საღამოს 5 საათიდან 8 საათამდე. უმორჩილესად ვთხოვთ მიწის მყიდველებს, რომ **თავის დროზე შემოიტანონ დარჩენილი ვალი,** თანახმად ჩვენგან მიცემულ კვიტანცია-სა. წ. 1020

ვ ა ს წ ა ვ ლ ი
ქართულ
სიმღერა-გალობას
და ვადგენ 100 კაცისაგან შემდგარ გუნდს. **თამარ მეფის 700 წ. სადღესასწაულოდ.** გუნდის შესახებ მოლაპარაკება, მიღება და ჩაწერვა **მიხეილ კავსაძესთან,** ოთხშაბ., შაბ. და კვირაობით 5—7 საათამდე: ჩერქეზიშვილის ქუჩა № 27. 125

ვაგზლის კერძო სამკურნალო

გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვაგზლის ქუჩა. № 8. ტელეფონი № 695.

ე. ს. გაზაკიძე. ყოველ დღ. შინაგან. ავადმყ. 9½ ს. 10 ს.

ა. ნ. დიასამიძე. ყოვ. დღე, კვირ. გარდა. სიფილ., კანისა და ვენერ. 11—11½ ს.

ბ. ა. პოპოვი. ყოვ. დღე, კვირ. გარდა ყელ, ყურ. და ცხვ. სნეულ. 11—11½.

ექ. ქალი იოსელიანისა—იღებს ქალთა ავადმყოფებს. სამშ.-ბათობით ხუთშაბათობით და შაბათობით 11—11½ საათ.

ვორობიევი. შინაგ. ბავშვ. სნეულ. სამშ. ოთხშ. შაბ. და კვირ. 2—3 საათამდე.

ნ. მ. მელიქიშვილი. ქირურგიული და ქალთა ავადმყ. 1—2 ს.

ივ. გომართელი.—ყ.-დღ. შინაგ. 2—3 ს. მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური, ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით.

წამლობა „606"-ით 1053

ექიმი კბილისა **ნინო ჩიხილაძე**
იღებს დილით 9—2 ს. საღ. 5—7 ს. ოლღას ქუჩის შესახვევი № 5, სახლი მაჭარაშვილისა

ელექტრონისა და რენტგენის
ს ა მ კ უ რ ნ ა ლ ო
მიხ. გედევანიშვილისა
ავადმყოფებს იღებს ყოველ-დღე დილ. 12—1 ს., საღამოს 6—7 ს., გაშინჯვა და გადაღება რენტგენის სხივებით. ვერა, ყორღანოვის ქ. № 20. წ. 1022

ექიმი შ. ა. მიქელაძე-
იღებს **შინაგან და ბავშვთა სნეულებიან** ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5 ნახ.—6½ საათ. კაზბეკის ქ. № 5.

ექიმი ი. ი. ბერიშვილი
სწამლობს **საშარდე ორგანოთა, ათაშანგისა და კანის** ავადმყ.; **გასსერმანის** რეაქციით იკვლ. ათაშანგ. მოწამლ. სისხლს. მიღება ნაშუადღ. 3—5½ ს. **ელისაბედ.** ქ., № 94, კიროჩნი ქუჩის ახლო, საფოსტო განყოფი. პირდაპირ 172

ექიმი ა. ნ. დიასამიძე
კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოვ.-დღე ნაშუადღ. 2—3 ს. საღამ. 6—7 ს. ხუთშაბ. მხოლოდ დილ. 8—ს. კვირ. ავადმყ. არ იღებს. მოსკოვის ქუჩა, № 3, ს. გაბაშვილისა.

ექიმი ალ. ხოლოდაშვილი
იღებს ავადმყოფებს 9—2 საათ. და 5—6 საათ. გოლოვინის პრ. № 12. 1334

ახალი ამბავი

ტფილისი

◆ **რომანოვთა გვარეულობის სამასის წლის მეფობის იუბილეს** აღსანიშნავად ქალაქის საბჭომ დაადგინა, 30,000 მან. დარჩენილი გადასახადი აპატიოს ქალაქის ღარიბ მცხოვრებთ. ამის გამო მცხოვრებთაგან ქალაქის გამგეობამ მრავალი თხოვნა მიიღო. გამგეობამ თავის მხრივ სავაჭრო-სამეურნეო პოლიციის აგენტების შემწეობით შეაგროვა ცნობები იმისა, ვინ რამდენად ღარიბია და რამდენი უნდა ეპატიოს. თხოვნებს საბოლოოდ გამგეობა განიხილავს ამ დღეებში, პეტერბურგიდან ქალაქის მოურავის დაბრუნების შემდეგ.

◆ რამდენიმე წელიწადია, რაც ჩვენი თანა მემამულე **ირაკლი ჯაბადარი** ევროპაში მუსიკასა სწავლობს. მას საკუთარი ნაწარმოებიც ბევრი შეუქმნია ამ დარგში. განსაკუთრებით აქებენ დაკვრაში. ამ რამდენიმე დღის წინედ ვენაში გამოსულა სცენაზე და დიდი აღტაცება დაუმსახურნია. კონცერტს დასწრებიან: მწერალი შნიტცლერი და აუერნჰეიმერი, კომპოზიტორები: ჰელმირეე, ვილფზონი, რუსეთის კონსული, პრესისა და მუსიკის წარმომადგენელნი და სხვა. ამის გამო ვენიდან და ლვოვიდან დეპეშები მოვიდა. დეპეშის გამოგზავნილნი ქართველ ერს ულოცავენ ასეთ ვირტუოზის შეძენას.

◆ პეტერბურგის ერთ-ერთ სამხატვრო, სახელდობრ ახალგაზრდა მხატვართა დამხმარე საზოგადოების გამოფენაზე, სხვათა შორის, ამ თვეში გამოფენილი ყოფილა ჩვენი თანამემამულის ახალგაზრდა მხატვარ **დავ. ნ. კაკაბაძის** ოთხი სურათი. ამ სურათებს ყურადღება მიუქცევია და პეტერბურგის გაზეთები ქებით იხსენიებენ ბ-ნ კაკაბაძეს.

◆ **ქალაქის სასალახოს რევიზორთა** (ბ-ნთ სულაბერიძისა, კეილისა და ტერტეროვის) მოხსენება ქალაქის საბჭოს სარევიზიო კომისიამ განიხილა და ქალაქის გამგეობას გადასცა. გამგეობამ მოხსენება თავის მხრივ ჯერ-ჯერობით სატეხნიკო კომისიას გადასცა და შემდეგ ისევ დაუბრუნებს სარევიზიო კომისიას, რომელიც საგანგებო თათბირს დანიშნავს და მთავრობის დაწესებულებათა ინჟენრებისა და ხუროთმოძღვრების თანადასწრებით მოხსენებას საბოლოოდ განიხილავს.

◆ ქალაქის გამგეობის დავალებით საბჭოს სატეხნიკო კომისიამ დაასრულა ქალაქის ელექტრონით განათების იჯარით გაცემის პროექტი. განათებას მრავალი ფირმა და კერძო პირი კისრულობს. პროექტის საბოლოოდ შესამუშავებლად კომისია ამ დღეებში საგანგებო თათბირს იწვევს მცოდნე პირთა მონაწილეობით.

◆ ქალაქის გამგეობის წევრმა მ. ნ. ათაბეგოვმა გამგეობას წარუდგინა ქალაქის თვითმმართველობის კანცელარიის შტატის რეორგანიზაციის პროექტი, რომლითაც, სხვათა შორის, გაუქმებულ იქმნება რეგისტრატორების ადგილები. ეს რეორგანიზაცია ხარჯს წელიწადში 3,500 მან. შეამცირებს.

◆ **საბირჟო ცნობები.** 26 თებერვალს შეთანხმება არ მომხდარა. პროცენტიან ქაღალდების ფასი შემდეგია: ტფ. ქალაქის საკრედიტო საზოგადოების 5% ობლიგაციებისა: აფასებენ—85 მან. 75 კ., აძლევენ 85 მან. 50 კ.; ტფ. სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკის 5% გირავნობისა: აფასებენ—83 მან., აძლევენ—82 მან. 25 კ.; და ქუთაისის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკის 5% გირავნობის ფურცლებისა: აფასებენ—77 მან. 75 კ., აძლევენ—77 მან. 15 კ.

◆ ქალაქის გამგეობამ დაავალა სავაჭრო-სამეურნეო პოლიციის აგენტებს, დაუყოვნებლივ დაჰკეტონ ის სავაჭრო-სამრეწველო დაწესებულებანი, რომელთა პატრონებსაც ვაჭრობის ნებართვა გამგეობისაგან ჯერ არ აუღიათ.

◆ ერთმა ტფილისელმა დიდმა ფირმამ, რომელმაც ამას წინად **ფურნეები** გახსნა დიდუბეში, გუშინ ახალი ფურნე გახსნა სოლოლაკში (ველიამინოვის ქ., № 9). ამ დღეებში ფურნეს გახსნის გოლოვინის პროსპექტზედაც. ამ ფურნეებში ყველა ხარისხის პურს ნახევარ კაპეიკით ნაკლებ ჰყიდიან დღევანდელ ნიხრზე.

◆ **რომანოვთა გვარეულობის სამასის წლის მეფობის იუბილეს** გამო 22 თებერვალს მეფის მოადგილის მეუღლემ გრაფინია ე. ა. ვორონცოვ-დაშკოვისამ თავის ხარჯით უფასო სადილი გაუმართა რიყის სამრევლო სკოლის 100 მოსწავლეს. სადილის შემდეგ ობოლ მოსწავლეთ ცოცხალი თევზი დაურიგეს სახლში წასაღებად.

◆ **ოპერის მომღერალი მ. ნანობაშვილი** (მიშელ დარიალი) გუშინ ტფილისიდან მოსკოვს გაემგზავრა, სადაც მიწვეულია ზიმინის თეატრში.

◆ მომავალ ზაფხულში ტფილისში **საგიმნასტიკო კურსები** გაიმართება საშუალო სასწავლებლების მასწავლებელთათვის. კურსები ორ თვეს გასტანს.

◆ **მღვდელი-ექიმი** ა. ლღვავა მცირე-წლოვან დამნაშავეთა გამასწორებელ ახალშენის (ზემო-ავჭალაში) ექიმად მიიწვიეს.

◆ ტფილისში ჩამოვიდა ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროს საოლქო ინსპექტორი ე. ლ. ფეხნერი, რომელიც დაათვალიერებს ტფ. საკომერციო და სავაჭრო სასწავლებლებს. ბ-ნი ფეხნერი ტფილისში ორ კვირას დაჰყოფს.

◆ **პარიზში დაარსდა** საფრანგეთ-კავკასიის სავაჭრო და სამთამადნო მრეწველობის ბიურო „ივერია". ბიურო მიზნად ისახავს, რომ კავკასიის ვაჭარ-მრეწველებს ცნობები მიაწოდოს იმისი, თუ საფრანგეთის ბაზარზე კავკასიურ რომელ საქონელის მოთხოვნილება უფროა. იგივე ბიურო კისრულობს კავკასიაში გამოსაგზავნად, დავალებისამებრ, შეიძინოს სამეურნეო იარაღები, ავტომობილები, საფრენები, მატორები და სხვა. შუამდგომლობა გასწიოს დაუმუშავებელ მასალების გასაღებაში. კავკასიის მთა-მადნის ლითონთა ქიმიური ანალიზი მოახდენინოს, მადნების დამუშავებელი და შემძენი ამხანაგობანი იშოვნოს და სხვა. ბიურო მიწერ-მოწერას ყველა ენაზე იღებს. ბიუროს მისამართი: Paris 10, Rue Faubourg-Mont-martre—„Iberie". დეპეშისთვის: Paris—Iberie.

საზოგადოებანი და კრებები

◆ ახლო მომავალში ტფილისში დაიწყებს მოქმედებას ახალი **სამეცნიერო საზოგადოება** ისტორიისა, ეთნოგრაფიისა და ენათ მეცნიერებისა, რომელიც დაარსდა ტფილისის ქალთა უმაღლეს კურსების პროფესორთა და ლექტორთა ინიციატივით. უკანასკნელ კრებაზე საზოგადოების საბჭო აირჩიეს. თავმჯდომარედ არჩეულ იქნა ცნობილი ენათა მეცნიერი ა. დირრი, მის ამხანაგად ა. მარკოვი, საბჭოს წევრებად ცნობილი სომეხი ეთნოგრაფი ე. ლალაიანცი, სარგის კაკაბაძე და მ. ბელიაევი. პირველი საჯარო კრება დანიშნულია ქალთა უმაღლეს კურსების ერთ-ერთ აუდიტორიაში პარასკევს, 1 მარტს, საღამოს 8 საათზე. მოხსენებებს წაიკითხავენ ა. დირრი და ნ. სპილიოტი.

◆ **„ტფ. კრუჟოკის"** წევრთა საზოგადო კრება დღეისთვის ხელმეორედ არის დანიშნული. საჭიროა 150 კაცის დასწრება, რადგანაც უნდა განიხილონ საკითხი წესდების შეცვლის შესახებ. განზრახულია საწევრო ფული 25 მან. დააწესონ ნაცვლად ახლანდელ 15 მან., მიიღონ 800 წევრი, ნაცვლად ახლანდელ 600 წევრისა და სხვა.

რკინის გზაზე

◆ ამიერ-კავკასიის რკინის გზის **კონტროლის** მთავარ კონტროლიორის თანაშემწე მ. ს. სტოლიაროვსკი ციმბირის რკინის გზის მთავარ კონტროლიორად დანიშნეს.

ქუთაისი

◆ ქუთაისში არსდება **კოოპერატიული სასადილო.** სასადილო მოქმედებას მაშინ დაიწყებს, როდესაც მუდმივ მოსადილეთა რიცხვი 100 მიაღწევს. სადილი ორი თავისაგან იქნება (კვირაობით სამი თავი) და თვიურად ეღირება 9 მანეთად. წევრად ჩაწერვა შეიძლება „პროგრესის" საზოგადოებაში. სასადილოს მოგება ყოველთვიურად განაწილდება წევრთა შორის.

ბათომი

◆ იანვარში ბათომიდან და ფოთიდან საზღვარ-გარეთ გაუტანიათ სულ 5,871,990 ფუთი **შავი-ქვა.**

ხონი

◆ რადგანაც მთავრობამ არ დაამტკიცა შარშან ოქტომბერში მომხდარი ხონის მირაბის არჩევნები, მირაბის არჩევა დანიშნულია 2 მარტს.

ჭიათურა.

◆ **შავი-ქვის მრეწველთა საბჭოს კრება** 1 მარტს ჭიათურაში მოხდება.

ეროვნული

◆ 1 მარტს დანიშნულია ადგილობრივ „ქალთა წრის“ კრება.

სოხუმი.

◆ სოხუმის თვითმმართველობა შუამდგომლობს, რომ მომავალ რკინის გზის სამმართველო სოხუმში იყოს. ამის თაობაზე დეპ. ჩხენკელს მიჰმართეს სათანადო შუამდგომლობის აღსაძრავად. ჩხენკელს შესაფერი მოლაპარაკება გაუმართავს.

ჟურნალისტის დღიური

126.

სად უნდა აშენდეს პოლიტეხნიკუმი?

ტფილისის პოლიტეხნიკუმისთვის ქალაქის თვითმმართველობამ გადასდო საკუთარი ადგილი ნავთლუღის მახლობლად. პირველად, როდესაც სხვა არავითარი ადგილი არ მოიძებნებოდა, საუნივერსიტეტო კომიტეტმა დიდის სიამოვნებით მიიღო ეს შეწირულება და კიდეც შეუდგა საპოლიტეხნიკუმო ადგილის დაგეგმვას. გამოჰყო 50 დესეტინა მიწა თვით პოლიტეხნიკუმისთვის და 150 დესეტინა კი დაჰრა ნაკრებად საუნივერსიტეტო ახალშენის გასაშენებლად. ყველა გრძნობდა, რომ ზემოხსენებული ადგილი სრულიად შეუფერებელია პოლიტეხნიკუმისთვის, მაგრამ სხვა გზა არ იყო. მართლაც, ეს ადგილი რომ კარგად დაათვალიეროთ, დარწმუნდებით, რომ სრულიად არ ვარგა უმაღლეს სასწავლებლისთვის. ჯერ ერთი ქალაქის ცენტრიდან ძალიან დაშორებულია. 7—8 ვერსი იქნება ქალაქიდან. მეორეც, ჩახჩირულია ისეთ ადგილას, რომელსაც გარს არტყია ახალი სასალახო, სასაფლაოები—მართლმადიდებლებისა, სომხებისა, სამხედრო. იქვე ახლოა დრაგუნთა ყაზარმები, სამხედრო გოსპიტალი, საგაზო ქარხნის ადგილი და სხვა. ყველა ეს შენობები რკალივით აქვს შემორტყმული საპოლიტეხნიკუმო ადგილსა. ცხადია ეს ადგილი სრულიად შეუფერებელია მომავალ უმაღლეს სასწავლებლისთვის. მაგრამ საუნივერსიტეტო კომიტეტი, როგორც ვსთქვით, ძალაუნებურად იძულებული ჰხდებოდა ამ ადგილით დაკმაყოფილებულიყო და სხვა ადგილზე ფიქრისთვისაც კი თავი დაენებებინა.

მაგრამ საკითხმა სულ სხვანაირი მიმართულება მიიღო. როგორც დანამდვილებით გავიგეთ, საუნივერსიტეტო კომიტეტი მიიღებს შემოწირულებას საბურთალოზე. ეს ადგილი, რომლის შეწირვასაც აპირებენ, გაცილებით უფრო ახლოა ქალაქიდან და მომავალ პოლიტეხნიკუმისთვის სწორედ შესაფერისაა. საბურთალოს საპოლიტეხნიკუმო ადგილი საქართველოს სამხედრო გზასა და ვერის ხევს შუა მდებარეობს. ერთის მხრით აკრავს მალაკნების ახალშენი, მეორის მხრით ვერის ბაღები. ჰაერი გაცილებით უფრო კარგია და ადგილიც გაშლილია. არ უნდა დაგვავიწყდეს ისიც, რომ სწორედ ვერაზეა აშენებული სასწავლებლები—ქართული გიმნაზია, სასულიერო სემინარია და ცოტა უფრო შორს კადეტთა კორპუსი.

ერთის სიტყვით, ვერა და საბურთალო, როგორც უფრო გაშლილი ადგილები, იზიდავენ სასწავლებლებს. სრულიად ბუნებრივი და ფრიად სასარგებლოც იქნება, თუ მომავალი პოლიტეხნიკუმი სწორედ საბურთალოზე აშენდა და არა სადღაც გადაკარგულ ადგილას.

შინაური.

მცირე შენიშვნა

(წერილი რედაქც. მიმართ)

გთხოვთ ეს მცირე შენიშვნა მიიღოთ ჩვენი მწერლობის და კეთილდღეობის გულწრფელ მოკეთისაგან, როგორც მკითხველისა და გარედან დამფასებელს ჩვენი მწერლობის დაკნინებისა. მსურს ჩემი აზრი გავატარო წერილში იმ ფრიად არა-სასურველ და მკაცრ ფორმებზე, რომელიც დღევანდელ ქართულ პრესაში მკვიდრდება და რაიც ჩემის აზრით ძლიერ არა სასურველია. სახეში მაქვს ყოვლად უპატივცემულობა, გაუტანლობა და კაცი-ჭამიობა ჩვენს პრესაში. ქართულ გაზეთის ერთ ნომერს ვერ აიღებთ, სადაც მოწინააღმდეგის პიროვნების, რწამსის, მოქმედების აბუჩად აგდებას არა ჰქონდეს ადგილი. არ იფიქროთ, იმედი გვქონდეს, რომ როდისმე საბოლოოდ შეთანხმება მოხერხდეს. პარტიათა შორის წინააღმდეგობა, აზრთა შეხლა-შემოხლა აუცილებელია. მაგრამ პარტიებიცაა და პარტიებიც. არის პარტიები, რომელთაც ერთმანეთში არავითარი ნათესაობა არა აქვთ, რომელთა ინტერესები ისე შორია როგორც მთა და ზღვა, როგორც ბოროტება და სათნოება, მაგრამ პარტიები არის, რომელთაც დიდი ნათესაობა აქვთ, მიუხედავად აზრთა სხვა-და-სხვაობისა. ჩვენში არის სხვა და სხვა პარტიები. მაგრამ რეაქციონური პარტიები კი ძლიერ სუსტნი არიან. მთელი პარტიული ბრძოლა დღეს ორი პარტიის შორის სწარმოებს და ჩვენც სწორედ ამ ორ პარტიის პოლემიკა და ბრძოლა გვაინტერესებს.

ეს ორი პარტია სხვა-და-სხვა მიზნებს ემსახურება, მათში ღრმა განსხვავებაა, მაგრამ ობიექტიური სინამდვილეა ისიც, რომ მათ შორის დიდი ნათესავური კავშირი არსებობს. რამდენიც უნდა იკიჟინოს პარტიის ფანატიკოსმა, რამდენიც უნდა გვიმტკიცოს, თეთრს შავად ვერ აქცევს და წინააღმდეგში ვერავინ დაგვარწმუნებს. მე არ მესმის, ჩვენი განათლებული და ცნობილი მოღვაწე მწერლები რად ვარდებიან უკიდურესობის მორევში და რად აბნელებენ სინამდვილეს, თავის ტერმინოლოგიით და მაგალითებით რად შეაქვთ ხალხის გონებაში დომხალი და და არევ-დარევა.

პირველ ყოვლისა ორივე პარტია პროგრესიული პარტიაა, ორივე დიდად უკმაყოფილოა აწმყო სოციალ-ეკონომიურ ცხოვრებისა და უნდათ, საქართველოს ცხოვრება და ქართველი ხალხის მდგომარეობა უკეთესად მოაწყონ. არის თუ არა ეს მხარე და მიმართულება ამ ორ მემარცხენე პარტიისა დადებითი მხარე და მოსაწონი? ნუ თუ ამ საერთო ნიადაგში, რომელსაც ერთხელ ჰქადაგებდა არჩილ ჯორჯაძე, მაინცარ უნდა გვქონდეს ერთმანეთის პატივისცემა და გრძნობა თანაგრძნობისა, გრძნობა ერთად მუშაობისა? მე თვალ-წინ მიდგას, მთელი საქმე გასული არჩევნებისა, გონებას არა სცილდება „მერცხალი“-ს პუბლიცისტიკა და ის კამათი, რომელიც განვითარდა ამ ნიადაგზე არა მარტო ქართულ გაზეთებში, არამედ რუსულ პრესაშიაც. მე პირადად ბევრი გადაჭარბებულად მეჩვენება და ყოველ კითხვაში მელანდება აჩრდილი ფანტაზიისა, შაბლონურ აზროვნობისა. აიღეთ ვარლამ გელოვანი და ყველაფერი ის, რაც მასსა და მის თანამოაზრეების შესახებ ითქვა, თუ საქმეს არ იცნობთ, გეგონებათ, რომ აქ საქმე გაქვთ არა საზოგადო მოღვაწეებთან თან და პროგრესისტებთან არამედ ქედუხრელ ხულიგანებთან, გაუსწორებელ შავრაზმელებთან. კიდევ უარესი, შთაბეჭდილება პრესიდან კიდევ უფრო მძიმე გამოგაქვთ და ფიქრობთ. ეს ვიღაც გელოვანია დიდი ქურდი ვინმე, სისხლის მსმელი და ბოროტ-მომქმედი უნდა იყოს. თქვენ სინამდვილე აბრუნდად მოგეჩვენებათ და ხალხი, რომელიც მართლა არ იკადრებს არც ქურდობას, არც განზრახ ბოროტმოქმედებას და არც ჯაშუშობას, ესე იგი, ხალხი, რომელიც ნამდვილად ყოველი ასეთი მოვლენების აშკარა მტერი და მოწინააღმდეგეა, ბოროტმოქმედებად გამოჰყავთ. ნუ თუ ეს ჭეშმარიტების, სინამდვილის, სიმართლის ღალატი არაა? ნუ თუ ეს საკადრისი და მოსაწონებელია? მართალია, პარტიას თავისი ინტერესები აქვს და ის პირველყოვლისა ამ თავის ინტერესებს უნდა ემსახურებოდეს, მაგრამ შესაწყნარებელია განა არა საკადრისი ფანდებით და მოქმედებით მიზნის მიღწევა? ნუ თუ იგივე ბოროტება არ არის, ნუ თუ სიკეთეს ბოროტებით გინდათ ემსახუროთ?

მე ბევრ რამეში არ ვეთანხმები გელოვანის თანამოაზრეებს, მაგრამ იმაში ვერავინ ვერ დამარწმუნებს, რომ გელოვანის სათათბიროში გაყვანა და ტიმოშკინისა ერთი და იგივე იყოს. სოციალ-დემოკრატიული პრესა კი გელოვანს გაცილებით უდიერად, მკაცრად მოეპყრა, ვინემ ტიმოშკინს. ვინ არ იცის, როგორ გავიდა სათათბიროში ტიმოშკინი? ჩვენმა პრესამ ეს მხოლოდ აღნუსხა, დაჰგმო და მოისვენა.

ან აიღეთ გელოვანის პოზიცია სათათბიროში. ბ. გარეშემ პირდაპირ საკვირველებად ჩასთვალა, რომ გელოვანი შრომის ჯგუფში ჩაეწერა. ეს როგორ შეიძლება, შინ ხულიგანი ბრძანდებით, და სათათბიროში, გარედ სოციალისტობთო. მე ეს აზრი პირდაპირ შეუწყნარებლად მიმაჩნია და ვთვლი ამ დებულებას პარტიულ ჟინიანობად, ფანატიკურ მსჯელობის ნაყოფად. ამის საბუთი? წარმოვიდგინოთ, რომ ბ. გელოვანი მემარჯვენე-ხულიგანია. მერე განა მაშინ შრომის ჯგუფი ხელს გაუწვდიდა? ბ. გარეშე რომ მართალი იყოს, მაშინ ზომიერი შერვაშიძე და მემარჯვენე ანდრია ერისთავი სათათბიროში და საბჭოში მემარცხენეებ შორის უნდა მოკალათებულიყვნენ? ცხადია აქ ფოკუსი არავითარ როლს არა თამაშობს და თავი და თავი პოლიტიკური მდგომარეობა და მისწრაფებაა—რაიცა გელოვანის მემარცხენეობის დამამტკიცებელია. დავივიწყოთ ყოველივე ეს და წარმოვიდგინოთ, რომ ბ. გელოვანი მემარჯვენე-ხულიგანია; განა მემარჯვენე ისე ილაპარაკებს, ისე იმოქმედებს, როგორც მემარცხენე? გელოვანის რამდენიმე გამოსვლა ხომ ნამდვილი დემოკრატიული გამოსვლა იყო, ნამდვილი გულწრფელი, ჭეშმარიტი? ნუ თუ საქმით არ უნდა დავაფასოთ ადამიანი? სოციალ-დემოკრატი დეპუტატები კი მათსავე დემოკრატიულ დეპუტატს მტრულად დაუხვდნენ. ნუ თუ ბ. ჩხეიძე-ჩხენკელს არ შეუძლიანთ დაიხმარონ და დაეხმარონ ყოველ თავიანთ გამოსვლაში და მით გულწრფელად ისარგებლონ ისე, როგორც ხალხის გულწრფელი მოამაგე და მოსამსახურე? ნუ თუ მათი მუშაობა არ უნდა ავსებდეს ერთი მეორეს და მით სახალხო საქმეს უკედ არ უნდა აწარმოებდნენ? სამწუხაროდ, ასეთ ნათესავურ თანამშრომლობას, ასეთ დინჯსა და დარბაისელ მუშაობას სათათბიროში სრულიად ვერა ვხედავთ, ღვარძლსა და შურს ერთმანეთში კი—ბლომად. ეს ღვარძლი ადის სათათბიროს ტრიბუნაზე, ჩამოდის საზოგადოებაში, ინთხევა პრესაში და მით იწამლება მთელი პოლიტიკური ცხოვრება. ნუ თუ ეს სავალალო, სამწუხარო, ღრმად დამაფიქრებელი არ არის?

თ. ღლონტი.

კულტურული ნაშთები

მე ვგონებ ყველამ კარგად იცის, რომ მრავალ-წამებული ჩვენი ქვეყანა ფრიად მდიდარია შესანიშნავი ციხე-კოშკებით, დიდებულად ნაშენ ეკლესიებით და ქართველთა დაუდევრობისა გამო უყურადღებოდ დატოვებულ პალატთა ნანგრევებით. ძალიან ხშირად, როდესაც კი უდაბურ ტყეში შევხვედრივარ ამ გვარ ჩვენი მამა-პაპათა ნაშრომ-ნაღვაწევს, გული მტკენია და მიფიქრია, ნეტა იმას მაინც მოვესწრებოდე, რომ ამ უამრავ ნაშთების საბუთიანი აღწერა და ფოტოგრაფიული სურათები მაინც გვქონებოდეს. ასე მიფიქრია მიტომ, რომ რაც დრო გადის თანდათან უფრო ფუჭდება, ინგრევა და თუ დროზე არ ვუპატრონეთ და არ მივეშველეთ, მიწასთან გასწორებულ ნაშთთა აღწერა და დასურათხატება ყოვლად შეუძლებელი იქნება. იყო დრო, როდესაც ამ ნაშთთა გარშემო სიცოცხლე სდუღდა და ამ ეკლესია-მონასტრებში შეხმატკბილებული და სასოებით აღსავსე გალობა ატკბობდა ჩვენ მამა-პაპათ.

სამწუხაროდ განვლო იმ ხანამაც, ამოვარდა დაბა-სოფლები და დაგვრჩა მარტო მათი ნაშრომ-ნაღვაწი, რომელსაც ასე უმადურათ მოვექეცით. „კარგ მამას კარგი შვილები ეყოლებაო“, ეს ქართული თქმულება ჩვენზე არ გამართლდა. იქ უღრან და მიუვალ ტყეებში თუ ხელი არ მიგვიწვდება, იქ მაინც გაუფრთხილდეთ და დავიცვათ მამა-პაპათა ნაღვაწი ხელოვნება, სადაც ადვილად მიგვიწვდება ხელი. მე მოგახსენებთ იმ ძველ ციხე-კოშკებზე და ეკლესიებზე, რომლებიც არა ერთ ქალაქს თუ სოფლებს გვერდზე აკრავთ. თუ არას მოუმატებთ, ჩვენვე ნუ ვანგრევთ და სახლებისა და გომურების საშენებელ მასალათ მაინც ნულარა ვხმარობთ. თუ ხალხმა არ იცის მათი მნიშვნელობა ჩვენი სულიერი მამები რაღას გვიკეთებენ?

ძალიან ხშირად ამისთანა ეკლესიებს ხეირიანი საკეტიც კი არა აქვთ, ზოგი მეხრეების და ძროხების ბინათ გამხდარა უსაკეტობისა გამო, როგორც მაგ. ქვემო გავაზის წმ. თევდორეს ეკლესია, რომლის აღწერაც ამ რამდენიმე წლის წინათ მქონდა გაზეთში. უკეთეს გარემოებაში არ არის თელავის წმ. იოანე ნათლის-მცემლის პატარა ძველი საყდარი, რომელიც შუა ქალაქშია; წინათ ეს ეკლესია თ. ვახვახიშვილების საგვარეულოს ეკუთვნოდა, ხოლო შემდეგ თ. დ. ვ. ჯორჯაძის ხელში გადავიდა. საკვირველი ის არის, რომ ამ ეკლესიის ეზოში კარგა დიდი შენობაა, რომელშიაც მოთავსებულია თელავის მომრიგებელ მოსამართლის და გამომძიებლების სამსჯავრო. ყოველ დღე აურაცხელი ხალხი ტრიალებს ამ ეზოში და სამწუხაროთ მათ ეს წმიდა ადგილი თითქმის უწმიდურების ალაგად გაუხდიათ, იმიტომ რომ ამ ეკლესიას ეხლა აღარც კარები აქვს შებმული და საკეტი ხომ, საიდანღა ექნება სირცხვილია, სირცხვილი! საარაკ დაუდევრობა და ღვთის წყრომა რატომ ამაზე ხმას არავინ იღებს რას ვუყურებთ?..

თვით ეკლესია პატარაა, ხელოვნურად არ არის ნაშენი, მაგრამ შესანიშნავია აღსავლის კარები, რომლის ჩარჩოებიდაც გადაკრულია თხელი ირმის ყავი, მშვენიერის ხელოვნებით ამჭრილ მოჩუქურთმული. ამ ამოჭრილ ჩუქურთმებსაც კი შეხებია ვიღაცუწმინდურის ხელი და ალაგ-ალაგ თიებით ამოუგლეჯია.

ამ ეკლესიის კანკელის თავზე მთელ სიგრძეზე მხედრულის ასოებით შემდეგი წარწერა:

„ამთ...—კეილმსახურისა საქართველოისა და კახეთისა მეფისა ირაკლისათა და თვა ტახტისა სავარძლისა მათისა კეთილ-მორწმუნისა დადიანის ასულის დედოფლის დარეჯანისა გუს მოდგინე მე ძმან ვახვახის ძისრევაზისამან ბაზირთუხუცესმან ზღ აღშენება ტაძრისა ამის სახლსა -ა ყ-დ გ.....ლსა იოვანესა შ..... (ა ეტყობა) მოსახსენებლადა სულსა ჩემისა და მეუღლისა ჩემისა გასევან ჩოლოყაშვილის ასულის ანას და ძისა ჩემისა დიმიტრის აღსაზრდელად მხილველნო ამისანო ჩემ ცოდვილისათვის შენდობას ბრძანებდით. სრულ იქმნა იანვრის კ აღწრა ხელითა ნიკოლოზ მხატვრისათ სექტემბრის ზ დასაბამით..... (აღ აჩნია)“.

კანკელი ამ-სართულიანია და შესანიშნავს ჩაფერს წარმოადგენს, ჩვეულებრივია; ხოლო მთლად ძველი ქართული ხატვრობაა. სხვათა შორის აქ არი ერთი მოზრდილი ხატი, რომელზედაც დახატულია ორი მთავარ-ანგელოზი მიხეილ (მიქელ) და გაბრიელი. ერთს ცალს ხელში უჭირავს ლახვარი, მეორეს სასწორი, ხოლო ორივეს შუაში უჭირავთ დიდი რგვალი ბურთი (სამყარო) ზედ წარწერით: „წმ. წმ. წმ. უფალო საბაო სავსე არიან ცანი და ქვეყანა“. ამ ხატს ქვემოთ შემდეგი წარწერა აქვს:

„ქ. შემოწირე მე ჩუბინაძემ ქრისტესიამ დაჲეუღლემან ჩემმან ელენემა და შვილმან ჩემმან ჩუბინა, დავით, იოსებ გიორგიმ, დიმიტრიმ, მარკოზ და სოფრონ და მის ძმან სფრიდონ და იოანე და:. შენ მთავარ ანგელოზის ეკლესიას ხატნი მთავარ ანგელოსთ, მაცხოვრისა, ღვთის მშობლის ჯვარცმისა და წმ. გიორგისა და:. მეოხად სულისა ჩვენისა და ძეთა და ასულთა ჩვენთა აღსაზრდელად წელსა ჩყია (1811) ივნისის დ“ (4).

როგორც წარწერიდან ეტყობა ეს ხატი ჩამოტანილია თელავის მთავარანგელოზის სასაფლაოს ეკლესიიდან

ამავე ეკლესიაში არის ორი საფლავის ქვა წარწერით:

„თვევსარვლისის ლ (30) ქვსა უჲქ. გეწყალობოდესთ მხილველნო მავ მაჲ მოხუცებული ვახვახიანთ ბაზიერთ უხუცესი ეშიკაღასბაში ზაალ მრავალთ კეთილ კეთილთა ძეთა მკვდარ მნილთა უშემდგომადესად მიწევნილი მათთანა რომელმან გარდავლენ ყოველნი დღენი ჩემნი მსახურებას შინა მეფისასა და გვედრები შენდობისა ყოფასა“.

მეორე საფლავის ქვაზე შესავალში:

„ქ. ოდეს ყვავილნი სათავწარსხმულოდ გამოსცნა სიჭაბუკემან ჩემმან მაშინ მანგალმან სიკვდილისამან მომისწრაფლა მოკვეთად ჩემდა დიმიტრი რომლისათვისცა გვედრები მხილველთა შენდობით ხსენებისა უჟამოთ მიცემული მიწა მიწასა თვესა აგვისტოს კზ. ქკსა უჲდ“.

როგორც დანამდვილებით ვიცით პატივცემულ თ. დ. ვ. ჯორჯაძის ქვრივს ე. ჯორჯაძისას განუზრახავს ამ ძვირფას ხელოვნურ აღსავლის კარების შეწირვა საისტორიო-ეთნოგრაფიულ საზოგადოებისათვის და იმედია, მალე სისრულეში მოიყვანენ თავიანთ სურვილს ვიდრე უკეთურთ ხელი მთლად არ დაამახინჯებდეს ამ ძვირფას ხელოვნურ ნაწარმოებს.

ზ. ჩხიკვაძე.

ქალთა დღესასწაული

ქ. გორში

(პირველი სალიტ. საღამო ელენე ზაალ თარხან-მოურავის ასულის პრა-კრევის სკოლაში).

ხუთშაბათს, 21 თებერვალს, გორის პრა-კრევის სასწავლებელში გაიმართა პირველი სალიტერატურო საღამო მოწაფეთა მონაწილეობით. საღამოზე ბარათებით მოწვეულნი იყვნენ მოწაფეთა მშობელნი და სტუმრები. თუმცა დასაწყისი გამოცხადებული იყო საღამოს რვა საათზე, მაგრამ შვიდ საათზე დარბაზი უკვე გაჭედილი იყო ხალხით.

საღამო დაიწყო რუსული რეფერატით, რომელშიაც მოწაფე დანილენკომ გააცნო დამსწრეთ რომანოვთა საგვარეულოს მეფობის ისტორია. ამას მოჰყვა წარმოდგენა „ბოლოს სინანული გვიანდაა“, სცენ. მოწაფეთა ცხოვრებიდან სამ-მოქმედ. რომელშიაც მონაწილეობდნენ 12—13 წლ. მოწაფენი. მკვირცხლად, გაბედულად, ვით დახელოვნებული ქურუმნი ხელოვნებისა, დაცქრიალობდნენ სცენაზე პატარა გოგონები, და თავისი მხიარული, მარდი თამაშით ატკბობდნენ მსმენელთ და რაც უფრო შესანიშნავია—როლები ისე კარგად დაესწავლათ, რომ ჩვენ დიპლომიან მსახიობთ სახეზე სიწითლე წამოეპარებოდათ. ძლიერი ტაშის ცემით და „ვაშა“-ს ძახილით დასრულდა პირველი განყოფილება. დარბაზში მუსიკი ჩამოვარდა. ერთი მეორეს უზიარებდა საამო შთაბეჭდილებას, ერთი-მეორეს ულოცავდნენ ბრწყინვალე გამარჯვებას, უსურვებდნენ სკოლას უკეთეს მომავალს...

სცენაზე გაისმა სუსტი „ვისია მწვანე კარავი“, მგზავრული. მომღერალნი პირველად თითქოს შეკრთნენ, მაგრამ მალე გამოსწორდნენ, მოიცეს ძალა, მოიმარჯვეს ყელი, გული ჩაიდგეს საგულეს... ნელა გადაიწია ფარდა და სცენაზე მორკალებული გამოჩნდა მოწაფეთა მრავალ-რიცხოვანი გუნდი ე. ხუციშვილის ლოტბარობით. ამას მოჰყვა „თებრონე მიდის წყალზედა“... დასრულდა სიმღერა. დარბაზში იგრიალა ტაშმა... გოგონები კმაყოფილებით, თავდაჭერით გადმოჰყურებდნენ გამხიარულებულ მშობლებს, ნათესავებს, სტუმრებს... მინელდა ტაში... გუნდიდან მარჯვედ გამოხტა ცქრიალა, ლამაზი გოგონა თ. ბერძნიშვილი და დაკვირვებით, გრძნობით, დინჯად, გაბედულად ჩამოჰკრა სიმები ნ. ლომაურის მშვენიერ ლექსს „ყინვა და პატარა მოწაფე“. მას მოჰყვნენ სხვები. ყველას სათითაოდ ჩამოთვლა, რასაკვირველია შორს წაგვიყვანდა, ვიტყვი მხოლოდ, რომ მოწაფენი იშვიათი გაბედულობით გამოდიოდნენ წინ, და ერთი მეორეზე უკეთესად, თავისუფლად, დინჯად, გარკვევით კითხულობდნენ ლექსებს. წაიკითხეს „მონგოლი და ქართველი“ ა. წერეთლისა (თ. ბერძნიშვილი), „ალაზანი“ ევდოშვილისა (ბ. შოთნიაშვილი), „პოეტის აჩრდილი“ შანშიაშვილისა (ე. ცერცვაძე), „ქართველი ქალი“ აკაკისა (თ. ტიტვინიძე). ძლიერი ტაშის ცემა გამოიწვია ბ. ნანეიშვილმა კ. მაყაშვილის „ამირანი“-ს წაკითხვით, „სოფლელი გლეხის შვილი ვარ“ დავითაშვილისა (თ. მინდიაშვილი) და სხვ. მშვენიერი იყო ვაჟა-ფშაველას „ობოლი“... დიდი სიცილი გამოიწვია საზოგადოებაში პეპელამ, კურდღლის და თაგუნას ქურქებში გამოწყობილმა თარხნიშვილმა, ხაბელაშვილმა და ოსიფოვამ. მშვენიერი „ყაყაჩო და ია“ იყო აგრეთვე აბულოვა და სუხანსკაია. უკანასკნელმაც ქართულად წაიკითხა ლექსი და დიდი აღტაცება გამოიწვია საზოგადოებაში.. წაიკითხეს ლექსები აგრეთვე სომხურად და რუსულად. გუნდმა მწყობრად შეასრულა სიმღერები „მოვშორდი, ველარ ვხედავ“, „სულ ძილი, ძილი“... „მივალ გურიაში“, სვანური „ბუბა ქაქუჩელა“, მეგრული „კუჩხა ბედნიერი“, „სამშობლო“, მალოროსიული „სოლნცე ნიზენკო“ და „ცანგალა და გოგონა“. ზედ მოჰყვა ტაში და პატარა გოგონამ სოფლელი ბიჭის ტანისამოსში გამოწყობილმა მარჯვედ ჩამოუარა. გუნდი „ქართველო, ხელი ხმალს იკარ“-ით ნელნელა გავიდა სცენიდან.

... საღამო იგი იყო საღამო შვების, სიამოვნების, კმაყოფილებისა... მხიარულებდა სცენა, მხიარულებდა დარბაზი, თვით დარბაზის უტყვი კედლებიც კი ამეტყველებულიყვნენ... დასასრულ სცენაზე გამოიწვიეს სკოლის გამგე ელენე ზაალის ასული და მისი მარჯვენა ხელი თამარ ზაქარიას ასული თარხან-მოურავი. ტაშისცემას და „ვაშას“ ძახილს საზღვარი არა ჰქონდა. საღამოს შემდეგ დარბაზში „ლეკური“ გაიმართა. სტუმრებს ტკბილეულობა მიართვეს. წესიერება მშვენიერი იყო დაცული და ამაში ქ-ნი ელენეს და თამარს მარჯვედ ეხმარებოდნენ მოზრდილი მოწაფენი...

ეტყობა სკოლის გამგეთ შრომა, ენერგია არ დაუზოგნიათ, რომ თავის პირმშო შვილის პირველი ნაბიჯი მარჯვე, გაბედული ყოფილიყო და ამისთვის ქება და დიდება მათ. მადლობის ღირსნი არიან აგრეთვე ე. ხუციშვილი და მისი მეუღლე ელენე გუნდის მშვენივრად გაწვრთნისათვის. მოზრდილი დარბაზი გაჭედილი იყო ხალხით, უმეტესობა სულ ქალებით და აი ამიტომაც ვუწოდე ამ ჩემს წერილს „ქალთა დღესასწაული“...

ხალხი მეტად ნასიამოვნები დაიშალა.

სანგანიძე.

P. S. აქვე არ შემიძლიან ორიოდე სიტყვით კიდევ არ გავიხსენო თვით სკოლის არსებობა. სკოლა დიდი ხანი არ არის რაც გაიხსნა (1911 წ. 15 ენკენისთვეს), მაგრამ ამ მცირე ხანშიც საზოგადოების დიდი ყურადღება და თანაგრძნობა დაიმსახურა. ეს სჩანს იქიდანაც, რომ პირველ ხანებში მოწაფეთა რიცხვი 30 არ აღემატებოდა, 10—11 თვის შემდეგ რიცხვი 80-მდე ავიდა, დღეს კი 150 გადააჭარბა. უფრო საყურადღებოა ეს სკოლა მით, რომ აქ იკრებენ თავს ხელმოკლენი, სკოლის გარეშე დარჩენილნი, აქ ეჩვევიან შრომას, სწავლობენ წერა-კითხვას, ხელობას, იწრთვნებიან, მზადდებიან ჩუმი საზოგადო მოღვაწენი, აქ იზრდებიან მომავალი ქართველი დედები...

სამწუხაროდ ნივთიერი ხელმოკლეობა ნებას არ აძლევს სკოლას თავისუფლად გაშალოს ფრთანი. ამიტომაც ვალად სდევს ქართველ საზოგადოებას გაუწოდოს მას ხელი ქონებრივ-ნივთიერ დახმარებისა და მით შეძლება მისცეს სკოლის გამგეს პირნათლად, უშიშრად, დაუბრკოლებლივ გაიაროს ის ეკლიანი გზა, რომელიც მას თვისწილ დაუსახავს.

ქართლ-კახეთის თავად-აზნაურობამ შარშან მცირედი დახმარება აღმოუჩინა, მაგრამ ეს მხოლოდ ცვარია იმ დიდ ხელმოკლეობის ზღვაში, რომელიც უნდა დაიშრიტოს ფართე საზოგადოების მეტი თანაგრძნობით. განზრახულია ამ ახლო მომავალში გამართონ „საღამო“ სკოლის სასარგებლოდ და ვიმედოვნებთ, რომ საზოგადოება თვის ზნეობრივ ვალს პირნათლად შეასრულებს.

ს—ძე.

სოფ. შაშიანის წვრილი კრედიტის ამხანაგობის წლიური კრება

10 თებერვალს მოხდა წლიური კრება შაშიანის წვრილ კრედიტის ამხანაგობისა. თავმჯდომარე მღ. თომა ასათიანმა წარუდგინა კრებას წლიური ანგარიში. ამხანაგობა სწარმოებს 1912 წლის 1 აპრილიდან. ამხანაგობას 200 წევრი ჰყოლია, სახელმწიფო ბანკიდან მიცემული ჰქონიათ ძირითადი თანხა 2000 მანეთი, რომელიც დარიგებული ყოფილა 1 აპრილიდამდე. პირველ ივნისიდან მოსვლიათ კიდევ მოკლე ვადიანი 2000 მანეთი, რომელიც პირველ დეკემბრისთვის უკვე გადაუხდიათ ეს ვალი. პირველ აპრილიდან წლის ბოლომდე სარგებელი შემოსულა 289 მ. 80 კ. წლიური ხარჯი ამხანაგობას ჰქონია 209 მ. 82 კ. 1913 წლის 1 იანვრისათვის ამხანაგობას დარჩენია წმიდა მოგება 79 მ. 98 კ. თავმჯდომარემ მღ. თომა ასათიანმა არ იკისრა დაჯილდოვება ფასით, განაცხადა უფასოდ მსახურება, რისთვისაც კრებამ მადლობა გადაუხადა. წარსული წლის შრომისთვის საქმის მწარმოებელი დააჯილდოვა კრებამ ერთი თუმნით; მხოლოდ ამა 1913 წლისთვის დაუნიშნა ჯილდოდ 60 მანეთი, ხაზინადარს სახლის ქირისა, სადაც საკრედიტო გამგეობა ამხანაგობისა იმყოფება. 25 მანეთი დაუნიშნეს. ერთი თუმანიც კრებამ გადასდო მოგებიდან ახლად დაარსებულ ბიბლიოთეკა-სამკითხველოსათვის. დანარჩენი 50 მან. 98 კ. კრებამ ძირითად თანხად გადასდო.

ამავე დროს აირჩიეს ბიბლიოთეკა-სამკითხველოს კომიტეტის წევრები, რომელთაც ეკისრებათ წიგნ-საცავის მოწესრიგება. ბიბლიოთეკის გამგედ გუბერნატორმა დაამტკიცა ზაქარია ალექსის ძე ბრაგვაძე.

ამხანაგი.

პეტერბურგის სასოფლო-სამეურნეო კურსები

პეტერბურგში არსებობს უმაღლესი სასოფლო-სამეურნეო კურსები. ეს კურსები აქნობამდის იყო მოთავსებული ქვის კუნძულზე, საკუთარ მამულზე, პატარა ძველ შენობაში. წელს ხუთ სართულიანი ახალი შენობა ააგეს და 17 თებერვალს აკურთხეს. კურთხევის დროს მოწვეული იყო ბევრი სხვა და სხვა დაწესებულებათა წარმომადგენელი. პარაკლისის დაწყებამდე სიტყვა წარმოსთქვა დეკანოზმა აგეევმა. მისი სიტყვიდან სჩანს, რომ პირველი თანხა 600 მან. მეტი არა ჰქონიათ. მაგრამ პირ-

ველ წლიწადსვე 160 სტუდენტი ჩარიცხულა. ბიუჯეტი ამ პირველ წლიწადს 12,000 მან. ავიდა. შემდეგ წლებში სტუდენტთა რიცხვი მატულობდა და ეხლა ითვლება 1125 კაცი და ბიუჯეტიც 200,000 მ. ადის.

სტუმრებმა შენობა დაათვალიერეს, რის შემდეგაც მიწვეულ იქმნენ საუზმეზე. იქაც ბევრი სადღეგრძელოები იქმნა წარმოთქმული და მრავალი მისალოცი დეპეშები წაკითხული სხვა-და-სხვა დაწესებულებათაგან და უმაღლეს სასწავლებლებიდან.

ვსარგებლობთ შემთხვევით და ვურჩევთ ჩვენს ახალგაზრდობას, წამოვიდნენ სამეურნეო კურსებზე სასწავლებლად. მგონი ყველა შეგნებული ქართველისათვის ცხადი უნდა იყოს, რომ საქართველოსათვის ეხლა ყველაზე მეტად სწავლული მეურნეებია საჭირო.

ამ ჟამად კურსებზე ოცამდე ქართველია. წელს აქვე დაარსდა ქართული სამეცნიერო აგრონომიული წრე, რომელიც ავალებს თავის წევრებს საქართველოში ყოფნის დროს თვალყური ადევნონ და შეისწავლონ გლეხთა ყოფა-ცხოვრება და დაბრუნებისას რეფერატები და მოხსენებები წაიკითხონ.

გ. ველაშვილი.

წყალტუბოს საკრედიტო
ამხანაგობის წლიური კრება.

ამა წლის 12 თებერვალს მოხდა საზოგადო კრება წყალტუბოს საკრედიტო ამხანაგობისა წლიური ანგარიშების განსახილველად და დასამტკიცებლად.

ამხანაგობა გაიხსნა 13 ივლისს, 1912 წ. დაარსებისას 30 ამხანაგი იყო. ახლა კი 170 ამხანაგი ითვლება, ხოლო 1 ამხ. სიკვდილისა გამო გამოირიცხა. მსურველი ბევრია. საზოგადო კრების დღესაც ბევრმა განაცხადა სურვილი ამხანაგობაში შემოსვლისა. კრებას გარეშეებიც დაესწრნენ. კრება დაიწყო 12 საათზე და 4 საათს გაგრძელდა. უამინდობისა და ცუდი გზების გამო 170 ამხანაგიდან კრებას დაესწრო მხოლოდ 77 კაცი გარეშეებს გარდა.

კრების თავმჯდომარედ ერთხმად არჩეულ იქმნა ადგილობრივი სკოლის მასწავლებელი ისიდორე ბოჭორიშვილი.

კრება შეუდგა წლიური ანგარიშების განხილვას და გამგეობის მიერ წარმოდგენილ ზოგიერთი კითხვების შესახებ მსჯელობას. ანგარიშის კითხვის დროს განმარტებას აძლევდა გამგეობის თავმჯდომარე. ანგარიშიდან გამოირკვა, რომ ამხანაგობას ჰქონია 1912 წელში ნასესხები თანხა ძირითადი 3000 მ., მოკლე ვადიანი სესხიც 3000 მან., ხოლო მიბარებული ფული 300 მ., რომელიც წლის ბოლომდე ისევ უკანვე გაუტანია პატრონს. ამ ფულიდან შემოსულა სარგებელი 440 მან. და 57 კაპ., ხოლო 9 მან. და 70 კაპ. წიგნაკების ფული და სულ კი ამ საანგარიშო წელში ამხანაგობას დატრიალებია 6750 მან. 27 კ., აქედან, როგორც ვსთქვით, მობარებული 300 მან. უკანვე წაუღია პატრონს, ხოლო 214 მ. 60 კაპ., დაუხარჯავს გამგეობას სხვა-და-სხვა საჭიროებაზე და სახელდობრ: საქმის წარმოებაზე და ნასესხები ფულების %% გადასახდელად. ამ ნაირად წმინდა მოგება რჩება 1 იანვრისათვის 1913 წ. 235 მ. 67 კ., ამავე საანგარიშო წელს ამხანაგობას შეუძენია 168 მ. 4 კაპ., ღირებული ქონება. პირველ იანვრისათვის 1913 წ. 139 ამხანაგზე ყოფილა გაცემული სესხი 6415 მან. იმავე წელში დაუბრუნებიათ უკან ზოგს ვადაზე, ზოგს კი ვადამდი, 380 მან. ნაღდი აღმოჩნდა კასაში 32 მ. 63 კ., გაცემული სესხიდან მიუციათ: 1) მიწის სასყიდლად 1440 მან. 27 კაცისთვის; 2) წისქვილისა და ბეღლების ასაგებად 365 მ. 6 კაცისთვის; 3) სახლების შესაძენად და შესაკეთებლად 1250 მან. 21 კაცისათვის; 4) ბაღების გასაშენებლად 35 მ. 2 კაცისათვის; 5) სამეურნეო იარაღების შესაძენად 130 მ. 4 კაცისთვის; 6) სამუშაო საქონლისა და ძროხების საყიდლად 1890 მან. 46 კაცისთვის; 7) მიწის საიჯაროდ 190 მან. 13 კაცისთვის; 8) სამრეწველო და სახლოსნო მასალის სასყიდლად 245 მ. 5 კაცისათვის; 9) მუშების დასაქირავებლად 1 კაც. 50 მ.; 10) კერძო ვალების გასასტუმრებლად 400 მ. 12 კაცისთვის; 11) ოჯახის მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად 420 მ. 12 კაცისთვის.

კრებამ ანგარიში დაამტკიცა და წლიური მოგება ასე გაანაწილა: ძირითადი თანხისთვის გადასდო 120 მან., სათადარიგო თანხისთვის 50 მ., საკ. სახლის ასაშენებლად 5 მან., ქონების შეძენაზე ფულებისადკენად 10 მ., ჟურნალ-გაზეთების გამოსაწერად 15 მან., ხოლო 5 მან. 67 კაპ., მოწაფეებისთვის ქართული საკითხავი წიგნების გამოსაწერად. ანგარიშის დამტკიცების შემდეგ კრებამ დაადგინა:

1) დაენიშნოს 1 იანვრიდ. ამა წლისა საქმის მწარმოებელს თვეში 3 მან., ხოლო დანარჩენს წევრებს გამგეობისა და საბჭოს 50 თვითეულს კრებაზე დასწრებისთვის. წარსული წლის ანგარიშების კარგად წარმოებისათვის კრებამ მადლობა შესწირა გამგეობას, ხოლო ერთდროულ დაჯილდოებაზე კი უარი უთხრა.

2) ხარჯთ-აღრიცხვა დამტკიცებულ იქმნა და 80 მ. გადასცეს გამგეობის განკარგულებაში ოჯებისათვის.

3) მიენდოს გამგეობას შუამდგომლობის აღძრვა მოკლე ვადიან სესხის გადიდებაზე 8,000 მანეთამდე, ხოლო ძირითადი თანხისა 5,00 მ., რადგან სესხის დიდი მოთხოვნილებაა და გამგეობა ვერ აკმაყოფილებს ყველას უსახსრობისა გამო.

4) მიღებულ იქმნაი ზომები, რათა ფულები მოაბარონ ამხანაგობას სასარგებლოდ. ყოველმა შეძლებულმა ამხანაგმა, ვისაც პირობით 100—150 მ. კრედიტი აქვს გახსნილი, შემოიტანოს ამხანაგობაში არა ნაკლებ 10 მ., ხოლო მცირე შეძლების ამხანაგმა არა ნაკლებ 3, რომელიც უნდა გამოერიცხოს სესხის მიღების დროს. გარეშე პირებიდან ფულების მოსაზიდავად ამათ უზრუნველსაყოფელად ეთხოვოს ბათომის ბანკს, გაუხსნას ამხანაგობას ქუთაისის ხაზინაში 1,000. კრედიტი მიმდინარე ანგარიშით.

5) დაწესდეს 1 კაპ. ჯარიმად 10 დღეში ვადაზე გადაცილებულ სესხზე.

დასასრულ მოხდა წილის ყრა წესდებისამებრ თანამდებობიდან გადადგომის შესახებ. გადადგომა ხვდა გამგეობის თავმჯდომარეს და საბჭოს ერთ წევრს თ. ჯიქიას, რომლებიც ისევ ხელ-ახლად აირჩია კრებამ. ამხანაგობის წარმომადგენლად კრებამ ერთ ხმად აირჩია გამგეობის თავმჯდომარე მღვ. ი. ფ—ვა, რომელსაც დაავალა, დაესწროს წარმომადგენელთა კრებას წყალტუბოს საკრედიტო ამხანაგობის სახელით და განაცხადოს სურვილი „კავშირში“ შესვლისა, უკეთუ ასეთი კავშირის დაარსება საჭიროდ იქნება ცნობილი.

კრება დასრულდა საღამოს 4 საათზე. ყველას ხალისი და აღტაცება ეტყობოდა პირველი მარჯვედ გადგმული ნაბიჯის გამო და ამიტომ ყველა დიდის იმედითა და სიხარულით დაბრუნდა შინ.

იეფა.

ხმა კიევიდან
3

„ქართული საღამო იმართება, არ მიდიხარო“, ხშირად გაისმოდა ქართველ სტუდენტობაში საღამოს წინა დღეებში. „ქართული საღამო როდის იმართება“, გვეკითხებოდნენ რუსები და უკრაინელები, თანაგრძნობით ისმენდნენ ხოლმე პასუხს.

ბოლოს, როგორც იქმნა, აქაურ „ინჟენერთა კლუბში“, 16 თებერვალს, ქართვ. სათვისტომოსა და კომერსანტთა „ქართულ სამეცნიერო წრის“ მეოხებით გაიმართა ზემოხსენებული საღამო.

ამისთანა საღამოებს, გარდა ნივთიერის სარგებლობისა, სხვა მნიშვნელობაც აქვს. იგი წელიწადში ერთხელ მაინც აერთიანებს, ერთად აამოქმედებს ხოლმე ქართველ მოსწავლე ახალგაზრდობას.

თუმცა საღამოს ხალხი ბლომად დაესწრო, მაგრამ შემოსავალმა ხარჯი ძლივს დაჰფარა. შინაარსის მხრითაც ვერ იყო სასურველ დონეზე დაყენებული ზემოხსენებული საღამო. თუმცა ამის მიზეზი უსახსრობაც იყო. გამმართველებს ჯერ დიდი საღამოს მოწყობა სწადდათ, მაგრამ საგრძნობი ხარჯი შესდგა და საქმე ვერ მოხერხდა. საერთოდ კი საღამოს არა უშავდა რა. მონაწილეობა მიიღეს გამოჩენილმა რუსის არტისტებმა ქ-ნმა ჟვირბლისმა და ბ-ნმა სლონოვმა. ქართულ ტანისამოსში გამოწყობილმა გუნდმა სტ. ირემაშვილის ლოტბარობით რამდენიმე სიმღერა შეასრულა. იყო აგრეთვე პატარა ორკესტრი სტ. დოლიძის ლოტბარობით.

ჯერ ფარდა არ ახდილიყო, რომ მოისმა „ლაშქრად წასვლა მას უხარის“ გუგუნი, ამას მოჰყვა სხვა სიმღერები, სხვა-და-სხვა დროს შესრულებული: „ჩუხჩუხით ჩამორბოდა“, „თებრონე მიდის წყალზედა“ და „ცანგალა-გოგონა“. ბ-ნ ირემაშვილს გუნდი საკმაოდ კარგად მოემზადებინა; ხალხს მოეწონა ქართული სიმღერები, განსაკუთრებით „ცანგალა-გოგონა“, რომლის დროსაც მოხდენილად იცეკვა სტ. ნაცვლიშვილმა.

დიდად ასიამოვნა სტ. ირემაშვილის სამი პატარა ბავშვის გამოსვლამ. ცუგრუმელები ქართულად გამოწყობილიყვნენ და თავისუფლად დაგომანებდნენ სცენაზე. ერთი უნდა გენახათ მათი ცეკვა, სიმღერა, ქართული ლექსების წარმოთქმა! რაღაც სითბოს, სიამოვნებას აგრძნობინებდნენ ეს ბავშვები ადამიანს და ტაშით იყვნენ დაჯილდოებულნი!

გუნდს მოჰყვა ორკესტრი. დაუკრა ბ-ნ ყარამშვილის „ლოთებო“ და სამშობლო“. სამწუხაროდ, ორკესტრი ძლიერ სუსტი გამოდგა და იმის ესედიც ვერ აგრძნობინა ხალხს, რასაც აგრძნობინებდა მადლიანი ნიჭის ნაყოფის კარგად ასრულება.

დასასრულ დასდგეს აკაკის ლექსის მიხედვით ცოცხალი სურათი: ნინო, ქეთევან და თამარ საქართველოს გადასცქერიან. ამ სურათს მოჰყვა მეორე: ქართველების ქეიფი. მწვანეზე გაშლილ სუფრა, გვერდზე ხელადა და ტიკორა მოედოთ, ხელში სავსე ყანწები დაეჭირათ სურათის მონაწილეებს. ტიპიური იყო ეს სურათი.

ზემოხსენებული სურათებით გათავდა საკონცერტო განყოფილება. დაიწყო ევროპიული და ქართული ცეკვა. მშვენივრად იცეკვა ლეკური სტ. დანელიამ. სტ. დამიძემ, რომელსაც კინტაურად ეცვა და თავახითა ვაჟკაცობდა, მოხდენილად იცეკვა კინტოური დოლზე, რასაც დახელოვნებულად უკრავდა სტ. დ. დიდებულიძე. გარდა ამისა, ზემოხსენებულმა ადამიძემ ბევრი აცინა საზოგადოება კინტოს ანეგდოტებით.

ერთ-ერთ დარბაზში ორი კიოსკი იდგა: ერთი ცახეს წარმოადგენდა, მეორე ფაფახს. რამდენსამე ადგილს გაკრული იყო მოქეიფე კინტოს სურათი ზედწარწერით: „სეღოდნია ვეს ტიფლის კუტიტ“.

საღამოს გამმართველი და პასუხისმგებელი იყო ქ-ნი დე-როსი, დაბადებით ერისთვიანთ ქალი.

* *

სული სულს იცნობსო, მართალი უთქვამთ. ჩვენსავით დაჩაგრული მალოროსები დიდის თანაგრძნობით ეპყრობიან ქართველობას. ზემოხსენებულ საღამოს თაობაზე უკრაინულ გაზეთ „რადის“ 41 ნომერში დაბეჭდილია რეცენზია და დიდი ქებაა. მოვიყვან მკითხველისათვის საგულისხმო ადგილებს: „კლუბის პატარა დარბაზი მთლად სავსეა, აქ ახალგაზრდებსაცა ჰნახავთ, მოხუცებსაც, ბავშვებსაც. სტუდენტურ ტუჟურკიანებში ხშირად გამოერევა ქართულად ჩაცმული ქალ-ვაჟი. ენერგიული შესახედაობის, მარდი ხალხია. თავისუფლად გაისმის სამშობლო ენა. სცენაზე შესრულებული სიმღერები, მუსიკა და დეკლამაცია, ამტკიცებს, რომ ქართველობა ნიჭიერი, პოეტიური და მუსიკის მოყვარე ხალხი ყოფილა. ყოველი მათი სიმღერა ფსიხოლოგიურად ადვილად გასაგებია ადამიანისათვის. ყველაფერს ეტყობოდა, რომ ბედის მიერ კიევში გადმოხვეწილი ქართველი ახალგაზრდობა ერთსულ და ერთგული არის და შეიძლება აქ უფრო დაუბრკოლებლივ შეეძლოს ქართველობა, ვიდრე სამშობლოში—ასეთი ბედი ყველა დაჩაგრულ ერებისაო. „დასასრულ რეცენზენტი სწუხს, რუსეთმა ცოტა იცის საქართველოს ცხოვრებისა, ლიტერატურის და მუსიკისაო. მით უფრო მადლობის ღირსნი არიან გამმართველნი საგულისხმო ორგინალური ცხოვრების ნაკვთი რომ გვიჩვენესო.

* *

აქაური სტუდენტობა თან და თან იღვიძებს. არსებობს რამდენიმე ჯგუფი, რომელიც ერთგულად მეცადინეობს და სწავლობს საქართველოს ისტორიას, ლიტერატურას. კომერსანტებმა დაამტკიცებინეს „ქართული სამეცნიერო წრე“. ვაჟებს არც ქალები ჩამორჩენიან. დაარსებულია ქალთა წრე; იქაც გულმოდგინედ სწავლობენ ზემოხსენებულ საგნებსა. იმედია, ასეთი წრეები გამრავლდება და რასაც ჩვენი დუხჭირი ცხოვრება, სკოლა აკლებს ქართველ ახალგაზრდობას, იგი პირადის მეცადინეობით, შრომით შეიძენს...

ქ. რაჭველი.

მოწერილი ამბები

ზუგდიდი. ამას წინედ დაბა ზუგდიდში მოხდა კრება აკაკის სახელობაზე არსებულ ბიბლიოთეკა-სამკითხველოს საქმეთა გამო. კრებამ განიხილა სამკითხველოს სხვა და სხვა საკითხები. ამასთანავე კრებამ დაადგინა: 1) მგოსან აკაკის მიართვას სახსოვრად, ძველებური ფრთაკალმის ნიმუშის, ერთი დიდი ვერცხლის კალამი. 2) მოეწყოს უფასო ლექციების კითხვა. 3) ეთხოვოს გაელენიან, შეგნებულ ვაჭრებს ნოქრები წაახალისონ წიგნის კითხვაში.

წერა-კითხვის უცოდინართათვის, რომ საკვირაო სკოლა დაარსებულიყო, დიდ სამსახურს გაუწევდა ხალხს. საბედნიეროდ ამ საქმისათვის ზუგდიდს საკმაო ინტელიგენცია მოეპოება.

წელს ზუგდიდში დაარსდა წვრილ კრედიტის ამხანაგობა. ისი წევრთა რიცხვი დღითი-დღე იზრდება. მართალია გახსნისას გულგრილად მოეკიდნენ—მხოლოდ ოცდა-ხუთი წევრი ჰყავდა. ეხლა კი მათი რიცხვი ას-ოცდა-ათამდის გაიზარდა.

ლიელი ოსტატი.

სხვა და სხვა ამბავი

✦ **შჩეგლოვიტოვის ავადმყოფობა.** „დენის“ სიტყვით იუსტიციის მინისტრი შჩეგლოვიტოვი ავად გამხდარა.

✦ **ებრაელი მოსწავლენი.** სამოსწავლო ოლქის მზრუნველნი სახალხო განათლების მინისტრს ატყობინებენ, რომ ებრაელი მცხოვრებნი საშუალო სასწავლებლებში აწერინებენ კანდიდატებად თავის შვილებს. კანდიდატებად 19.9 წლამდე არიან ჩაწერილნი ებრაელი ბავშვნი. მზრუნველნი სთხოვენ მინისტრს ურჩიონ რა ზომებს მიჰმართონ ამ საქმის მოსაგვარებლად.

✦ **დათხოვნილი გიმნაზიელები.** 19 თებერვალს პეტერბურგის სადგურზე გააცილეს მშობლებმა და ამხანაგებმა საზღვარ-გარედ ვიტმარის გიმნაზიაში შეპყრობილი გიმნაზიელნი. საზღვარ-გარედ ჯერ-ჯერობით ოთხი გიმნაზიელი გაემგზავრა.

✦ **21 თებერვლის ამნისტიის განხორციელება.** როგორც ხმა დადის, მანიფესტი სრულიად ანთავისუფლებს მწერლებს კოროლენკოს, ვოდოვოზოვს, პეშეხონოვს, მარტოვს და სხვებს. გაანთავისუფლეს მარქსისტულ გაზეთების „ზვეზდას“, „პრავდას“ და „ლუჩის“ რედაქტორები.

✦ **მოროზოვის განთავისუფლება.** 21 თებერვლის მანიფესტის ძალით განთავისუფლდება შლისელბურგელი მოროზოვი.

✦ **ემიგრანტების დაბრუნების უფლება.** სამშობლოში დაბრუნების უფლება ეძლევათ მაქსიმე გორკის და ნოტოვიჩს. ამნისტიამ არ გაანთავისუფლა ბალმონტი, მინსკი და ამფიტეატროვი.

✦ **ლოპუხინის პატიება.** პეტერბურგში ხმა გავრცელდა, რომ პოლიციის დეპარტამენტის უფროსად ნამყოფს ლოპუხინს სრულიად ეპატივა დანაშაულიო.

საკანონმდებლო დაწესებულებებში
დეპეშები.

სათათბიროში სახალხო განათლების კომისიამ განიხილა კანონ-პროექტი, გაიცეს ხაზინიდან 8.000,000 მანეთის კრედიტი სახალხო განათლების საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად. კომისიამ დაადგინა კრედიტი 10.000,000 მანეთამდე გაადიდოს.

—

სათათბიროში დაარსდა საქალაქო ჯგუფი. ჯგუფმა მიზნად დაისახა პარტიათა შორის თანხმობა დაამყაროს ქალაქის თვით-მმართველობის საკითხების განხილვის დროს.

ბალკანეთის ომი
დეპეშები.

25 თებერვალი.

ათინა. ლიადოხი იანინიდან დეპეშით იტყობინება, რომ ბერძნების რაზმმა პარამითია აიღესო.

გაზეთებიდან.
იანინის ციხის აღება.

20 თებერვალს იანინის საალყო ჯარმა დაიწყო საერთო გადამწყვეტი იერიში. ბერძნები ერთსა და იმავე დროს დაიძრნენ ქ. სანტიკვარანტასა, მეცოვოსა და კონიცის მხრიდან. ხელჩართულ ფიცხელ ბრძოლის შემდეგ დასავლეთის მხრის სიმაგრეები და კოსტრიცა—ბიზანის ციხეთა რკალი ორ ცეცხლს შუა მოექცა, რის შემდეგაც ოსმალეთის ჯარმა ვეღარ გაუძლო არტილერიის საშინელ სროლას და უთავბოლოდ გაიქცა შიდა ქალაქისკენ, მათ კვალ და კვალ მიჰყვა ბერძენთა ცხენოსანი ჯარი, რომელიც მოულოდნელად შეიჭრა შიგ ქალაქში. ამ დროს აღმოსავლეთის მხრით ქვეითმა რაზმმა იერიშით აიღო წმ. ნიკოლოზის მთა, რომელიც ძლიერ გამაგრებული იყო, და ქალაქისკენ მომართა საალყო ზარბაზნები. იანინის ციხის უფროსი ესად-ფაშა მიხვდა, რომ წინააღმდეგობის გაწევა უაზრობა-ღა იქნებოდა და შეატყობინა საბერძნეთის ჯარის მთავარსარდალს ტახტის მემკვიდრე კონსტანტინეს, ვნებდებიო. იმ წამსვე ქალაქში შევიდა ბერძენთა სამი ესკადრონი. ოსმალთა მეციხოვნე ჯარი, რიცხვით 25.000 კაცი ტყვედ ჩაუვარდა ბერძნებს.

ზავის მოლოდინში.

ვენიდან მოსული ცნობებით ირკვევა, რომ მეტად მცირე იმედია ზავის ჩამოგდებისა. ოსმალეთს კვლავინდებურად არა ჰსურს ადრიანოპოლის დათმობა, რაც გადაჭრით განაცხადა ქიამი-ფაშამ ავსტრიის გარეშე საქმეთა მინისტრს ბერჰტოლდს. მოკავშირეებმა დიდ სახელმწიფოთა შეკითხვაზე უპასუხეს: თანხმანი ვართ ევროპის შუამდგომლობისა, იმ პირობით კი თუ ოსმალეთი თავს დაანებებს მოლაპარაკების ჩვეულებისამებრ გაჭიანურებასო. ცეტინიეში ოფიციალურად აცხადებენ, რომ სკუტარის დაუთმობლად ყოვლად შეუძლებელია ზავის ჩამოგდებაო. ალბანეთის საზღვრების გამორკვევის საქმეც ფერხდება. სკუტარისა, დიაკოვოსა და იპეკის შესახებაც დღემდე ვერ მომხდარა შეთანხმება. რუმინიის გლეხთა შორის ბრძოლის ჟინი ძლიერდება. იგინი ჰფიქრობენ, რომ ომის შემდეგ მიწებს უფასოდ დაგვირიგებენ, როგორც რუსეთ-ოსმალეთის უკანასკნელი ომის დროს მოხდაო. ასეთი გამოურკვეველი მდგომარეობა ცუდად მოქმედებს ბირჟაზე, რომლის ფასიანი ქაღალდებიც დღითი-დღე ეცემა.

ბალკანეთი და ევროპა
დეპეშები.

25 თებერვალი.

ლონდონი. პარლამენტის ახალ სესიის დაწყებისას მეფემ სეფე სიტყვა წარმოსთქვა. მეფემ განაცხადა, რომ ინგლისის და სხვა სახელმწიფოთა მეგობრული განწყობილება გვაქვსო. შეეხო რა ბალკანეთის ომს, მეფემ სინანული გამოსთქვა, რომ ლონდონის სამშვიდობო კონფერენცია უნაყოფოდ დასრულდა და იმედი გამოსთქვა, რომ ელჩთა თათბირი ხელს შეუწყობს როგორც სახელმწიფოთა შორის სოლიდარობის განმტკიცებას, აგრეთვე ომის დასრულებას.

ლონდონი. ქვედა პალატაში კამათი ბონარ-ლოუს სიტყვით დაიწყო. მან აღნიშნა, რომ პალატა ელის ასკვიტისაგან ბალკანეთის საქმის ვითარებაზე ცნობების მიღებას. ბონარ-ლოუმ მწუხარება გამოსთქვა იმის გამო, რომ მეფე თვისი სეფესიტყვით არ შეეხო სახელმწიფოს თავდაცვის საკითხსო, რომლის მდგომარეობითაც ყველანი უმადურნი არიანო.

ბერლინი. მთელი გერმანია დიდის ზეიმით დღესასწაულობს გამანთავისუფლებელ ომის ასი წლის თავს. მეფემ წაიკითხა ჯარის ბრძანება, რომელიც შემდეგის სიტყვებით ბოლოვდება: „თუ როდისმე საჭირო იქნება დაცვა გერმანიის ღირსებისა, რომელიც ეგოდენის დაღვრილ სისხლის ფასით არის შეძენილი, ჩვენ დამშვიდებულის გულით და ზეიმტაც სიხარულით გავემართებოდით ბრძოლაში. ამისთვის საჭიროა, რომ ჯარს არა მარტო გარეგნულად, არამედ გულშიაც ედოს დევიზი: „ღვთის შეწევნით მეფესა და სამშობლოსთვის“. ღვთის შიში, მეფისადმი ერთგულება და სამშობლოს განუზომელი სიყვარული ჯარს ღვთივმოსილად ჰხდის“.

გაზეთებიდან.
ბულგარეთ-რუმინიის დავა.

ბულგარეთ-რუმინიის დავის გადასაწყვეტად, როგორც ხმა იყო, პეტერბურგში შეიკრიბებიან დიდ სახელმწიფოთა ელჩები რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის საზონოვის თავმჯდომარეობით. თათბირს საფუძვლად დაედება იმ მოლაპარაკების ოქმი, რომელიც დინევსა და მიშუს შორის იყო გამართული ლონდონში. ამ ოქმში მოყვანილია რუმინიის მოთხოვნილების ოთხი მუხლი: ბულგარეთ-რუმინიის საზღვრების გამოსწორება, დობრუჯის [illegible] ვისა და ხელუხლებლობის უზრუნველყოფა, მაკედონიის კუცოვალახებისათვის სასკოლო და საეკლესიო თავისუფლების მინიჭება და განცხადება იმისა, რომ ბულგარეთი კეთილი მეზობელი იქნება რუმინიისა.

სტამბოლის მდგომარეობა.

სტამბოლიდან იტყობინებიან, რომ ოსმალთა ჩათალჯის ჯარში მღელვარებაა. როდესაც ჯარმა შეიტყო, მთავრობა ადრიანოპოლის დათმობას აპირებსო, სტამბოლს წასასვლელად ემზადება, რათა ჯეროვანად დასაჯოს ახალგაზრდა ოსმალთა კომიტეტი. დიდი სახელმწიფოების წარმომადგენლებმა გადასწყვიტეს: რა წამს ამბოხება დაიწყება, პერა და გალათი დაჰკეტონ და ჯარიც გემებიდან ნაპირს გადასხან.

დეპეშები
(დეპეშათა პეტერბ. სააგენტო)

25 თებერვალი.

საზღვარ-გარედ

ვენა. გარეშე საქმეთა მინისტრი ავტომობილით ავსტრია-ჰუნგრეთის ქვემო საზღვრის დასათვალიერებლად გაემგზავრა. ავტომობილი დაღმართში გადაუბრუნდა. მინისტრი მსუბუქად დაშავდა.

ტოკიო. კაცურას ძველ კაბინეტის ოფიციოზმა „კოკუმინმა“ რამდენიმე წერილი მოათავსა შესახებ რუსეთის აგრესიულ მოქმედებისა მონღოლეთში. გაზეთი მოითხოვს იამამოტოს კაბინეტისაგან გამოარკვიოს მანჯურიის, აღმოსავლეთ მონღოლეთის და იაპონიის ურთიერთობა.

მადრიდი. საოლქო საბჭოს არჩევნებში გავიდა 95 ლიბერალი, 55 კონსერვატორი, 8 რესპუბლიკანელი, 20 კათოლიკე. მინისტრ-პრეზიდენტმა მეფეს პირადად მოახსენა მონარქისტების გამარჯვება. ბავსის პროვინციის ქალაქებში მოხდა შეტაკება რესპუბლიკანელთა და მონარქისტთა შორის.

ვენა. გაზეთები იუწყებიან, რომ უკრაინელთა საეროვნო საბჭო კმაყოფილია თანხმობისა, რომელიც მოხდა უკრაინელ კლუბსა და პოლონელ პარტიათა წარმომადგენლებს შორის გალიციაში საარჩევნო რეფორმის თაობაზე.

ვენა. ვენაში და თითქმის პროვინციის ყველა ქალაქში მოხდა სახალხო კრებები ქალთათვის საარჩევნო უფლების მონიჭების სასარგებლოდ. კრებები სოც.-დემოკრატებმა მოაწყეს.

ბრიუსელი. საბრეშუმო ქარხანაში აფეთქება მოხდა. მოკლულია ორი, დაჭრილი 14.

ლვოვი. გალიციის სეიმი ხუთ მარტს იქნება მოწვეული. საარჩევნო რეფორმის თაობაზე გამართულმა მოლაპარაკებამ დადებითი შედეგი იქონია.

რუსეთი.

პეტერბურგი. გზათა მინისტრმა მინისტრთა საბჭოში წინადადება შეიტანა, ხაზინის ფულით გაიყვანოს რკინის გზა ხარკოვიდან ხერსონამდე. ერთი შტო ნიკოლაევზე გაივლის.

პეტერბურგი. ხივის ხანმა პეტერბურგში ღარიბ მცხოვრებთა სასარგებლოდ 1,000 მანეთი შესწირა.

რუსეთი

საიდუმლოებით მოცული დანაშაული.

პეტერბურგის სატექნოლოგიო ინსტიტუტის სტუდენტ ბომზესთან, 20 თებერვალს, შუადღისას მივიდა უცნობი კაცი. კარი თვით ბომზემ გაუღო; მათ ერთმანეთი გადაჰკოცნეს, რის შემდეგაც ბომზემ სტუმარი ოთახში შეიპატიჟა. ბომზეს დიასახლისს, რომლის ოთახიც ბომზეს ოთახის გვერდით იყო, ნახევარ საათს ესმოდა ბაასი. შემდეგ გაისმა რევოლვერის ხმა; ამის შემდეგ ბომზემ იდუმალი სტუმარი გამოაცილა გასავალ კარებამდე და შეშფოთებულ დიასახლისს შესჩივლა, რომ იგი უდანაშაულოდ დაისაჯა. ბომზე სამ ალაგას იყო დაჭრილი. რევოლვერი სამჯერ უსროლნია უცნობს. ბომზემ დამნაშავის ვინაობა არ გამოააშკარავა. ბომზეს ჭრილობანი საშიში არ არის. ბოროტ-გამზრახველი ბომზეს სახლში „სოკოლოვის“ გვარით შევიდა. პოლიციამ ღამე რამდენიმე ბინა გაჩხრიკა დამნაშავის აღმოსაჩენად. პოლიციის ცდამ უნაყოფოდ ჩაიარა.

იუშჩინსკის მოკვლის გამო.

სარწმუნო წყაროებიდან იტყობინებიან, რომ ბეილისის საქმის გამო-

ძიება, რომელსაც იუშჩინსკის მოკვლა ჰბრალდებოდა, მალე მოისპობა. ზოგიერთის სიტყვით გამომძიებელი მაშკევიჩი იმ დანასკვამდე მივიდა, რომ იუშჩინსკის მოკვლა რიტუალურის მიზნით მოხდაო, მაგრამ ამ საქმეში ბეილისს ბრალი არ სდევსო. იმასაც ამბობენ, რომ ახლო მომავალში ოფიციალური ცნობა იქნება გამოქვეყნებული გამოძიების მიმდინარეობის თაობაზე და მას მოჰყვება ბეილისის განთავისუფლება, რომელიც წელიწად-ნახევარია უდანაშაულოდ არის დაპატიმრებული.

ჩხრეკა და დაპატიმრება.

20 თებერვალს მთელი დღე-ღამის განმავლობაში დამცველ განყოფილების მოწერილობით პეტერბურგში მოხდა რამდენიმე ჩხრეკა და დაპატიმრება. სხვათა შორის, უნაყოფო ჩხრეკის შემდეგ საკუთარ ბინაზე დააპატიმრეს გაზეთ „ლუჩის“ თანამშრომელი ეისუროვიჩი.

ღამე 19 თებერვალს, კონდრატიევის სახლში, ხანგრძლივი ჩხრეკის შემდეგ, დააპატიმრეს ბალტიის საზოგადოების მუშა მოისეევი.

იმავე ღამეს შეიპყრეს საპოლიტეხნიკო ინსტიტუტის სტუდენტი პოტეხინი. საპოლიტეხნიკო ინსტიტუტის სტუდენტთა შორის ჩხრეკა-დაპატიმრება მოხდა. დაატუსაღეს 18 სტუდენტი.

გრ. უვაროვის საჩივარი

სენატში გრ. უვაროვმა საჩივარი შეიტანა სარატოვის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლზე, ოზნობიშინზე. ოზნობიშინმა საერობო კრებაზე ნება არ მისცა გრ. უვაროვს აღეძრა ამნისტიის შუამდგომლობის საკითხი. რათა ხელი შეეშალა გრ. უვაროვისთვის ოზნობიშინმა კრება დახურა.

გრ. უვაროვის საჩივართან სარატოვის გუბერნატორმა ოზნობიშინის განმარტებაც გაჰგზავნა სენატში. ოზნობიშინის აზრით ამნისტიის საკითხი საერობო კრების განსახილველ საქმეთა სიაში არ შედისო.

რუსი ხალხის კავშირის კრება.

19 თებერვალს უწმინდეს სინოდის ობერ-პროკურორის სახლში გაიხსნა რუს ხალხის კავშირის სრულიად რუსეთის მეექვსე კრება. დიდ დარბაზში გადაიხადეს პარაკლისი. პარაკლისის შემდეგ ესტრადზე გამოჩნდნენ ამ კრების მოთავენი სახელმ. სათათბიროს წევრნი ეპისკოპოსი ანატოლი, პურიშკევიჩი და მარკოვი 2, სენატორი რიმსკი-კორსაკოვი, გრ. კონოვნიცინი, გრ. როშფორი, ბულაცელი და სხვანი.

მარკოვი მეორის წინადადებით, კრების თავმჯდომარედ აირჩიეს სენატორი რიმსკი-კორსაკოვი, მის ამხანაგებად—ეპისკოპოსი ანატოლი, გრ. გეიდენი, პურიშკევიჩი და მარკოვი მეორე. თავმჯდომარემ კრებას მადლობა გამოუცხადა პატივისცემისთვის, დიდხანს ილაპარაკა, თუ რად დიდ როლს თამაშობენ რუსეთის ბედში მონარქისტთა ორგანიზაციები.

ამის შემდეგ წაიკითხეს უქვეშევრდომილეს ადრესის ტექსტი. მარკოვის წინადადებით ამოირჩიეს სხვადასხვა კომისიების წევრნი. მარკოვ მეორემ გრძელი სიტყვა წარმოსთქვა. ჩვეულებისამებრ უდიერად და უკმეხად მოიხსენია არა რუსნი და ინტელიგენცია. ამის შემდეგ მისალოც დეპეშების კითხვას შეუდგნენ. ორატორების ლაპარაკით მთელი რუსეთი მათი მომხრე გამოვიდა; თავმჯდომარემ წინა სიტყვაში განაცხადა, რომ რუსეთში რუს ხალხის კავშირის მომხრენი მრავალი მილიონია. დეპეშები კი სულ თავი და ბოლო ხუთი იყო. ისიც ეპისკოპოსებისაგან და გენერლისაგან.

მოსკოველმა მოკავშირემ ორლოვმა შეაქო მოსკოველ ჭეშმარიტი რუსები, მათ მოქმედებას ფრთები შეასხა. ორლოვის სიტყვით მოსკოვში ათი-ათასობით არიან ჭეშმარიტნი რუსნი; თუ მოსკოვში, მემარჯვენენი სასტიკად დამარცხდნენ ეს სულ ადმინისტრაციის ბრალი იყოო. დილის კრება უფერული და სასომიხდილი გამოდგა. ალბად თვით მარკოვებსაც და პურიშკევიჩებსაც მოსწყინდათ „რევოლიუციონერების“ ლანძღვა.

საღამოთი კომისიები მუშაობდნენ.

თეატრი და ხელოვნება

ზუბალაშვილის სახალხო სახლი. ოთხშაბათს, 6 მარტს, ქართ. წარ. მმართველი წრე, დაუღალავ და ხელოვან რეჟისორს ბ-ნ ა. **წუწუნავას ბენეფისს უმართავს.** საბენეფისოდ წარმოდგენილ იქნება: 1) **„შეშლილები“** 2 მოქ. ტრიფ. რამიშვილისა, 2) **სადგური** (უკანასკნელი მოქმედება „სოფლის გმირები“-სა), 3) **„რომელი ერთი“**—ტფილისში პირველად დრამატიული ეპიზოდი ნორმანდიელ რაინდთა ცხოვრებიდან.

ადგილების ფასი ყველასათვის ხელმისაწდომია. დასაწყისი საღამოს 8 საათზე. ბ-ნმა წუწუნავამ ღირსეულად დაიმსახურა საზოგადოების სიყვარული და პატივისცემა. ეჭვი არ არის მისს ბენეფის ხალხი უღრმესის სიამოვნებით დაესწრება.

ავლაბრის თეატრი. შაბათს, 23 თებერვალს, მეზუროვის თეატრში ხარფუხის სახ. წარმ. მმართ. წრემ ბ. სერგო პეპანოვის რეჟისორობით წარმოადგინა ვ. გუნიას „და-ძმა“.

იშვიათად ჩაივლის ხოლმე ისეთის ეფექტით სცენის მოყვარეთა მიერ დადგმული პიესა, როგორც „და-ძმა“-მ ჩაიარა. სცენიურობა, სიმხატვრე, სიმწყობრე, ტემპერამენტი—ეს ყველაფერი იყო, მაგრამ სამაგიეროდ ნაკლიც იყო. ერთ ასეთ ნაკლად უნდა ჩაითვალოს გრიმების სრული უვარგისობა.

კარგი იყო ოტიას როლში ბ. მარკოზაშვილი, მაგრამ მე ჯერ არ მინახავს ამგვარი მქმუნვარე ოტია. ხშირად, ქართველ ჰამლეტს ამსგავსებდა. ძალიან. ეფექტიანი გაიოზი იყო ბ. პეპანოვი. კარგად თამაშობდა მარინეს ქ. კავთელი, მხოლოდ სიტყვებს ყლაპავდა. არა უშავდა ფაშის როლში ბ. ქსენოფონტოვს, რიგიანი იყო ქ. მეხუზლასი გადიას როლში, სუსტად იცოდა ადამიას როლი ბ. ყანჩაველმა. საზოგადოება ბლომად დაესწრო და ნასიამოვნებიც დარჩა. **თეოფილე.**

ქ. ბათომი. 23 თებერვალს, შმაევსკის თეატრში დანიშნული იყო წარმოსადგენად შ. დადიანის საბენეფისოდ ცნობილი რიშკოვის პიესა „სახელმწიფო სადგომი“. ეს პიესა ორი წლის წინედ ვაშირინის დასმა რუსულად წარმოადგინა და დიდი სენსაცია მოახდინა საზოგადოებაზე, რის გამო ხალხის თხოვნით გამეორებული იყო. ქართველი საზოგადოება, რომელმაც იცოდა ეს ამბავი მოუთმენლად ელოდა ამ პიესის დადგმას ქართულად, მაგრამ, სამწუხაროდ სწორედ წარმოდგენის დღეს მთავრობამ ამ პიესის დადგმა აუკრძალა. იძულებული იყვნენ შეეცვალათ პიესა. დასდგეს „ციხის საიდუმლო“ 4 მოქ. ისტორიული პიესა გუნიასი.

ეს პიესა მეტად სუსტი აღმოჩნდა. საზოგადოება დადიანის ბენეფისს ძალიან ბევრი დაესწრო თეატრში ტევა აღარ იყო. მაგრამ ესეთი უხეირო პიესის დადგმით გულნაკლული დარჩა საზოგადოება.

მობენეფისეს საჩუქრები ბლომად მიართვეს.

ადრესი წაუკითხა სუფლიორმა ვ. თავქარაძემ და მშვენიერი სიტყვა უთხრა მსახიობმა კორიშელმა. მობენეფისემაც მოკლე სიტყვით მიჰმართა საზოგადოებას და სთქვა, რომ: „თქვენმა თანაგრძნობამ ნივთიერმა და ზნეობრივმა გამაბედვინა დამეარსებინა ბათომში „მოგზაურის“ დასიო. **ტრ. ი—ძე.**

წერ. რედ. მიმართ

ბ-ნო რედაქტორო!

ნება მიბოძეთ თქვენი პატივცემულ გაზეთის საშუალებით უღრმესი მადლობა გამოუცხადო წმიდა ნინოს ქართულ სასწავლებლის მოწაფეებისა და ჩემის სახელითაც ქ-ნ ნინო ნაკაშიძეს, „ნაკადულის“ გამომცემელს, რომელმაც, როგორც შარშან ისე ამ წელსაც ჩვენს ქართველ მოსწავლე ყმაწვილებს უფასოდ დაუთმო თავისი ფრიად სასარგებლო გამოცემა „ნაკადული“ მცირე წლოვანთა და მოზრდილთათვის თავის პრემიებით.

ეს მოზარდნი, მოშორებულნი თავიანთ სამშობლოს, დიდის ყურადღებით და სიყვარულით ადევნებენ თვალს მანკაურ ცხოვრებას და ყოველ ქართული ლიტერატურული ნაწარმოები მათვის ფრიად სასარგებლო და საჭიროა.

მღ. ხ. შალვა ვარდიძე.

ქ. სტამბოლი.

ბ-ნო რედაქტორო!

უმორჩილესად გთხოვთ თქვენს პატივცემულ გაზეთ „სახალხო გაზეთი“-ს საშუალებით უღრმესი მადლობა გამოუცხადოთ ბ-ნ ალექსანდრე ნიკოს ძე მახარაძეს, რომელმაც ს. ვანის სამკითხველოს გამოუწერა ქართული ყოველ-დღიური გაზეთი „სახალხო გაზეთი“ და თვიური საყმაწვილო ჟურნალი „ნაკადული“, მთელი ამა 1913 წლის განმავლობაში და იმავე სამკითხველოს მოსაწყობად შემოსწირა თავისი ათი მანეთი და ხუთი მანეთი თავის ნაცნობთა შორის შეკრებილი; სახელდობრ; Андрей Самаринъ-მა და არსენ მღვდელაძემ—თითო მანეთი; სიონიკოს ძე წილოსანმა, სერაპიონ ბესარიონის ძე თავდიშვილმა, სერგო კობეშავიძემ, ევსევი კალანდაძემ და ელისო ხუხუნაშვილმა—ათ-ათი შაური; თედ. სერელმა და ისაკი ვადაჭკორიამ—ხუთ-ხუთი შაური, რაზედაც მათაც უღრმეს მადლობას ვუცხადებთ.

გამგეობის მონდობილობით
მირიან სიხარულიძე.

ქ. შ. წ.-კ. გამავრცელებელი საზოგადოების ბათუმის ქართული სკოლის პედაგოგიური საბჭო მადლობას სწირავს ბ. მელიტონ მოისწრაფიშვილს, რომელმაც ხსენებულ სკოლას ერთი წლით გამოუწერა საყმაწვილო ჟურნალი „ნაკადული“.

სკოლის გამგე **ი. გოგოლაშვილი.**

ბ. რედაქტორო!

უმორჩილესად გთხოვთ საშუალება მოგვცეთ უღრმესი მადლობა გამოუცხადოთ თქვენი გაზეთის საშუალებით იმ პირთ, რომელთაც ნივთიერი დახმარება აღმოუჩინეს ხარკოვის ქართულ სათვისტომოს: დიდად პატივცემულმა ეკატერინე ივანეს ასულმა დავით სარაჯიშვილის მეუღლემ—50 მ., კნ. მ. ვ. ჯამბაკურ-ორბელიანისამ — 15 მ., თავ. პ. ი. თუმანიშვილმა—10 მ., გ. ბ. გვაზავამ—10 მ., თავ. ლ. გ. ჯანდიერმა 10 მ. და ნაფიცი ვექილის თანაშემწემ შალვა ვლ. მესხიშვილმა —16 მ.

გამგეობის თავმჯდომარე **ალ. წერეთელი** წევრები **თ. ჭუმბურიძე, დათიკო ჩხეიძე, სვ. ფირცხელაური.** ხაზინადარი **კ. ცაგარელი.**

P. S. ვსთხოვთ სხვა ქართულ გაზეთებსაც ეს წერილი გადაბეჭდონ.

თებერვლის 17-ს სოფ. დიღომში, ზემო უბანში, სახელდობრ „მოგვლაურში“ აკურთხეს ახლად აგებული ეკლესია კავთის წმ. გიორგის სახელობაზე. კურთხევას მრავალი ხალხი დაესწრო; გალობდა შეგირდების პატარა გუნდი. დიდს მადლობას ვწირავთ მთელ დიღომს ეკლესიის დამთავრების დროს დახმარებისათვის. თავად გიორგი ალექსანდრეს ძე ბაგრატიონ-მუხრანსკას მეუღლითურთ მშვენიერი გარდამოხსნის და ტრაპეზის ჯვრის შემოწირვისათვის. ქ-ნ მარიამ ინდოევის ქვრივს ოთხი დიდი შანდლის შემოწირვისათვის. ქ-ნ ე. ოსაძისას, გრიგოლ ბეჟიაშვილს და თვით მამა იროდიონ გურგენიძეს აბრეშუმის კრეტსაბმელის და ოდიკის შემოწირვისათვის.

ამშენებელ კომიტეტის მონდობილობით **მღ ი. სონღულაშვილი.**

რედაქტორ-გამომცემელი **ა. ჭუმბაძე.**

გამოსადეგი ცნობა

მატარებელთა მიმოსვლა

(ზამთრობით).

15 ოქტომბრიდან.

(დრო აღნიშნულია ტფილისის საათით).

ტფილისიდან გადის.

ბაქოსაკენ: სამგზ.-საბარგო № 8, საღ. 6 ს. 26 წ. **ჩქარი** № 2, დილ. 10 ს. 14 წ. **საფოსტო** № 4, ღამის 12 ს. 36 წ. **სამგზავ.** № 6, ნაშუადღ. 6 ს. 31 წ. **ნარევი** № 106. საღ. 7 ს. 20 წ.

ბათომისაკენ: სახ. № № 107, დილ. 4 ს 38 წ. სახ. № 5, ნაშ. 4 ს. 38 წ. საფ. № 3, დილ. 9 ს. 50 წ. სახ. № 4, საღ. 9 ს 4 წ. სახ. № 11, ღამ. 10 ს. 2 წ.

ბაქოსკენ: ნარევ. № 106, საღ. 7 ს. 26 წ.

ერევანისკენ: სახ.-საბ. № 8;7, შუადღ. 1 ს. 6 წ.

ჯულფისკენ: საფ. № 4;3, ღამ. 1 ს. 11 წ.

ყარსისკენ: სახ.-საბ. № 6;5, საღ. 8 ს. 10 წ.

ბორჯომისაკენ: სახ. № 9/10 6, ნაშ. 3 ს. 17 წ.

ტფილისში მოდის.

ბაქოდან. ნარევ. № 107, ღამ. 3 ს. 8 წ. სახ. № 5, ნაშ. 3 ს. 46 წ. საფ. № 3, დილ. 9 ს. ჩქარ. № 1, საღ. 9 ს. 10 წ. სახ.-საბ. № 7, დილ 11 ს. 55 წ.

ბათომიდან: სახ. № 12, დილ. 8 ს. 50 წ. საფ. № 4, ღამ. 11 ს. 32 წ. სახ. № 6, საღ. 5 ს. 56 წ. ნარევ. № 106, დილ. 5 ს. 15 წ.

ერევნიდან: სახ.-საბ. № 8;7, საღ. 5 ს. 28 წ.

ყარსიდან: სახ.-საბ. № 65, ნაშ. 1 ს. 28 წ.

ჯულფიდან: სახ. № 43, დილ. 8 ს.

ბორჯომიდან: სახალ. № 9|10 6, დილ. 11 ს. 22 წ.

მიხაილოვიდან ხურამში სახ.-საბარგ. № 61, ღამ. 2 ს. 18 წ. სახ.-საბ № 63, დილ. 5 ს. 30 წ. სახ.-საბ. № 65, ნაშ. 12 ს. 48 წ. სახ.-საბ. № 67, ნაშ. 3 ს. 13 წ. სახ.-საბ. № 69, საღ. 7 ს. 53 წ. სახ.-საბ. № 71, საღ. 9 ს. 20 წ.

ხურამ.-დან მიხაილოვში: სახ.-საბარ. № 60, ღამ. 1 ს. 22 წ. სახ.-საბ. № 62, დილ. 4 ს. 38 წ. სახ.-საბ. № 64, დილ. 7 ს. 8 წ. სახ.-საბ. № 66, ნაშ. 1 ს. 15 წ. სახ.-საბ., № 68, საღ: 6 ს. 38 წ. სახ. საბ. № 70, საღ. 8 ს. 26 წ.

ქუთაისიდან რიონში: სახ. № 77 დილ. 5 ს. 28 წ. სახ. № 79, დილ. 10 ს. 14 წ. სახ. 1, ნაშ. 2 ს. 3 წ. სახ. № 83, ნაშ. 5 ს. 84 წ. სახ. № 85, ღამ. 11 ს. 58 წ.

რიონიდან ქუთაისს: სახ. № 76, დილ. 6 ს. 25 წ. სახ. № 78, დილ. 11 ს. 2 წ. სახალ. № 80, ნაშ. 3 ს. 8 წ. სახ. 82, საღ. 6 ს. 55 წ. სახ. № 84, ღამ. 1 ს. 58 წ.

ქუთაისიდან შორაპანს: სახალხო № 29/30, ნაშ. 5 ს. 23 წ.

შორაპნიდან ქუთაისს: სახ № 27|28 დილ. 8 ს. 30 წ.

ფოთიდან სამტრედ. და ქუთაისს: სახ. № 26, დილ. 6 ს, 6 წ. სახ. № 4 п, დილ 11 ს, 9 წ. სახ. № 6, საღ. 5 ს. 1 წ. სახ. № 8 п, საღამ. 9 ს. 10 წ.

სამტრედიიდან ფოთში; სახ. № 3 п შუადღ. 1 ს. 57 წ. სახ. № 7 п, საღ 7 ს. 24 წ. სახ. № 5 п, საღ. 7 ს. 59 წ. სახ. № 25 г ნაშ. [illegible] ს. 18 წ.

ბათომ.-დან ქობულეთსა და ნატანებში: სახ. № 18, ღამ. 11 ს. 13 წ. სახ. № 14, დილ. 5 ს. 43 წ. საფ. № 16, ნაშ. 2 ს 58 წ.

ქობულეთ.-დან ბათომს: სახ № 13, დილ. 7 ს. 4 წ. სახ. № 15, ღამ. 1 ს. 23 წ. სახალხ. № 17, ნაშ. 5 ს. 47 წ.

ნატანებიდან ბათომს: სახ № 17, ნაშუადღ. 5 ს. 20 წ.

ბათუმიდან ქობულეთში სახ. № 18, ღამ. 11 ს. 13 წ. სახ. № 14, დილ. 5 ს. 43 წ. სახ. № 16, ნაშ. 2 ს. 58 წ.

ბათომიდან ნატანებს სახ. № 16, შუადღ. 4 ს. 24 წ.

მიხაილოვ.-დან ბორჯომს. სახ. № 4, ნაშ. 3 ს. 8 წ. სახ. № 65, საღ. 9 ს. 14 სახ. № 86, დილ. 5 ს. 25 წ.

ბორჯომ.-დან მიხაილოვში: სახ. № 3, ნაშ. 12 ს. 35 წ. სახ. № 55, დილ. 5 ს. 58. სახ. № 76, ღამ. 1 ს. 41 წ.

პირდაპირი მიმოსვლა
გადაუჯდომლად.

1) **ბათომიდან პეტერბურგამდე** გავლით ნიკიტოვას, კურსკს, მოსკოვს, არის ერთი მიქსტო-ვაგონი I—II კლასისა და 1—მესამე კლასის, მატარებლების №№ 1/11 და 2/12. ყველა ბილეთები პლაცკარტებით,

2) **ბათომიდან მოსკოვამდე.** გავლით კოზლოვს და რიაზანს; 1 ვაგონი პირვ. კლასისა, 1 მეორისა და 3—მესამისა, მატარებლების №№ 5 და 6. I და II კლასი და მესამე კლასის ერთ ვაგონში ბილეთები პლაცკარტითაა, ხოლო მესამე კლასის ორ ვაგონში უპლაცკარტოდ.

3) **ტფილისიდან როსტოვამდე** ერთი ვაგონი I/II კლასისა, ერთიც მესამე კლასისა, მატარებელთა ნომრები 1 და 2.

4) **ტფილისიდან ჯულფა-ერევნისკენ** ერთი ვაგონი I/II კლ. და ერთიც მე-III კლ. მატარებლის ნომრები 3 და 4.

უფასო საექიმო დახმარება

ქალაქის საბჭოს ექიმები.

უბნები

1—2 **გ. ა. გედბალინი** (სდგას ვერა, ოლგის ქუჩა, 22. ტელეფ. 59.
3—4 **მ. ი. შავერდოვი** (ფეთხაის აღმართზე, 1, ტელ. 619).
6—6 **ტ. მ. თათეოსიანი** (ველიამინოვის, 4, ტელეფ. 680).
6—7 **შ. ა. მიქელაძე** (ავლაბარში, კახეთის ქ, 1, ტელ. 715).
8—9 **ნ. დ. ხატისოვი** (კუკიაში, ნიკოლოზოვის ქ. 7, ტელ. 715).
10, 11—12 **ა. ი. შჩერბინინისა** (დიდუბეში, საგურამოს ქ. 5. ტელეფ. 1.

ქალაქის საავადმყოფოები

მთავარი—მუხრანის ქუჩა, 9.
ავლაბრისა—კახეთის ქ. № 15.
ხარფუხისა—ვორონცოვის ქ. 55.
კუკიისა—ჩერქეზიშვილისა, 1—18.
დიდუბისა—საგურამოს ქ. 5.

ქალაქის საბჭოს ექიმები მოვალენი არიან ღარიბ მცხოვრებთ უფასო საექიმო დახმარება აღმოუჩინონ ქალაქის საავადმყოფოებში და თვითონ ავადმყოფის ბინაზედაც ყოველმა თავ-თავის უბანში), თუ უბრალო ექიმი დილის 11 საათამდე მოიწვიეს, ალდებულია იმ დღესვე ინახულოს ავადმყოფი, გარდა საჩქარო შემთხვევებისა, როცა დახმარება დაუყოვნებლივ უნდა მისცეს.

სასანიტარო ექიმები

უბნები: 1, 2—9 **პ. ფომინა-ოსიპოვისა** ვაკეში, საკუთარი სახლი, ტელეფ. 41).
მე-4 და რუსის ბაზარში **ქრ. ლ. ქალანთაროვი** (სოლოლაკი, ამაღლების ქ. 517).
5—6 **ი. მ. ზაბლუდოვსკი** (გრიბოედოვსკი, 10. ტელ, 645).
0, 11—12 **ვ. ა. მირაქოვი** (მიეილის ქ., 174 ტელ. 327).
7—8 **გ. თ. ნათიშვილი** (ვორონცოვის ძეგლთან, მონუმენტი შესახვ. 5. ტლ. 487).

სასურველია, თვითონ მცხოვრებლები დაგვეხმარებოდნენ სასანიტარო წესიერების შემოღებაში და სადაც-კი ამ მხრივ უწესობას შეჰნიშნავენ—სახლებში თუ სხვა დგილებში სასანიტარო მოთხოვნილებათ ღვევენ, ცუდს საჭმელ-სასმელს აკეთებენ და ჰყიდიან, და სხ.—დაუყონებლივ ზემოდ დასახელებულ ექიმებს აცნობონ, წერილობითი განცხადებები ყველას შეუძლიან გარდასცე ქალაქის სავაჭრო პოლიციის კანტორებში: ვერის მოედანზე. რუსის ბაზარში, თათრის მოედანზე, კახეთის მოედანზე, ავლაბარში რიყის ქუჩაზე, 54, ელისაბედის ქუჩა 56 და ამლაკნის მოედანზე.

გემების მიმოსვლა

(ზამთრობით)

15 ოქტომბრიდან,

შავ-ზღვაზე.

(დრო ტფილისის საათითაა აღნიშნული).

„ვაჭრობა-ნავოსნობის“

საზოგადოების გემები.

ბათომიდან გადის:

1) **პირდაპირი, საფოსტო გემი** შაბ., და კვირ., ღამ. 12 ს. 58 წ.

ირგვლივ მოსიარულე:

№ 1. **ოთხშ.**—შუა ღამის 1 ს, 58 წ.
№ 2. **პარასკევ.**, შუაღამის 1 ს. 58 წ.
1. **სა., შაბათ.**, ნაშუადღ. 2 ს. 58 წ.
2. **ორშაბ.**, ნაშ. 2 ს. 58 წ.

ბათომში მოდის:

დესიდან პირდაპირი, **საფ., პარ.** დილ. 6 ს. 58 წ.

ირგვლივ მოსიარულე:

1. **ორშ.**, საღ. 9 ს. 58 წ.
2. **ოთხშ.**, საღ. 3 ს. 58 წ.
1. **სამგზ., პარ.** საღ. 8 ს. 58 წ.
2. **კვირ.**, საღ. 6 ს. 40 წ.

კასპიის ზღვაზე.

„კავკასი და მერკური“

საზოგადოების გემებისა.

ბაქოდან გადის:

რასნოვოდსკს, ყოვ.-დღე საღ. 4 ს. 40 წ.
ნზელ პირდაპირი, **პარ.**, და **სამშ.**, ნაშუადღ. 4 ს 40 წ.

ირგვლივ მოსიარულე:

სტახ, ხუთშ. ნაშუადღ. 5 ს. 25 წ.

ბაქოში მოდის;

რასნოვოდსკიდან ყოველ-დღ. დილ. 9 ს. 40 წ.
ნზელიდა ორშ. და პარ., დილ. 6 ს. 5 წ.
ახრიდან კვირ., ირგვლ. მოს. დილ. ს. 44 წ.

განცხადებანი

ფეხსაცმელები
თომა დ. ჯანყარაშვილის
მაღაზია-სახელოსნოში.
მუხრანის ქ. № 2.
ყოველნაირი: საკუთარი და პეტერბ.
მექანიკური ნაწარმოები. 30

ექიმ ნავასარდიანის
პირველი კერძო
სამკურნალო
დაარსებულია 1880 წელს.
(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).
ავადმყოფების მიღება ყოველ დღე გარდა კვირისა.
დილით:
„606“ და „914“
11—12 ს. შეშხაპუნება
კონსულტატიურად.

ა. ა. ნავასარდიანი: 11—12 ს. ქირურგიული, და ვენერიული (სიფილ.) ავად.
ბ. გ. ბაგასაროვი: 1—2 ს. ბავშვთა შინაგანი ავადმყ.
კ. მ. ჩიქოვანი: 9½—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.
ზ. ი. ბაბანასოვი: 10—11 ს. საშვილოსნო ქალებისა და ბავშვებისა,
ნ. ტ. მულინი: 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.
მ. გ. ავეტისიანცი: 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.
ა. პ. კარაპეტიანცი: 12—1 ს. შინ. კანი საბავშვო და ყვავილის აცრა.
ექიმი ქალი **ო. ვ. ტერ-დავიდოვისა** 1—2 ს. სბებით და ქალების ავადმ.

საღამოთი:

მ. გ. ავეტისიანცი: 6—7 საათ.
ექიმი ქალი გ. ლ. რენიგერ-არეშევისა 6—7 ს.
რჩევა-დარიგება 50 კაპ. ხელმოკლეთათვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მორიგებით.
სამკურნალოს დირექტორი მედიცინის
1004 დოქტორი **ა. ა. ნავასარდიანი.**

მიიღება ხელისმოწერა 1913 წლისათვის ყოველ-დღიურ გაზეთზე
წელიწადი მეორე. **იმერეთი** **წელიწადი მეორე**

გაზეთის ფასი: ერთი წლით 7 მ., ნახევარი წლით 4 მ., ერთი თვით 3 აბაზი და ცალკე ნომერი 1 შაური. საზღვარ-გარედ გაზეთი წლიურად ღირს 14 მ., ნახევარი წლით 8 მ. და თვიურად 6 აბაზი. **სამგლოვიარო** განცხადების თითო დაბეჭდვა ყველასათვის 3 მ.; **განცხადების ფასი:** პირველ გვერდზე პეტიტით პწკარი ღირს 3 შაური, მეოთხეზე ორ შაური, შიგნით გვერდზე მორიგებით და გარეშე ცნობები ჩვეულებრივი ასოებით დაბეჭდილი თითო პწკარი თითო აბაზი. შრომის მაძებართა განცხადება ნახევარ ფასად. წლიურ ხელის მომწერლებს შეუძლიანთ გაზეთის ფასი ამნაირად გადაიხადონ: ხელის-მოწერის დროს 3 მ., პირველ მაისს 2 მ. და პირველ ენკენისთვესაც 2 მ. მოსწავლეებს, სათვისტომოებსა და სოფლის უფასო წიგნთ-საცავ-სამკითხველოებს გაზეთი წლიურად ეთმობათ 4 მ., ხოლო ნოქრებსა და სოფლის მასწავლებლებს 5 მ. თვიურად გაზეთი ამავე პირთათვის ღირს 3 აბაზი. მისამართის გამოცვლა ღირს ათი შაური. მისამართის გამოცვლის დროს უნდა ნაჩვენები იყოს სრულად ის მისამართი, რომლითაც ღებულობდა გაზეთს და აგრეთვე სწორედ ახალი მისამართიც. სხვანაირად მისამართის გამოცვლა არ შეიძლება.

გაზეთის დასაკვეთი ფასი და აგრეთვე სხვა ანგარიშებიც უსათუოდ ამ მისამართით უნდა გამოიგზავნოს: Кутаисъ, редакція и контора газеты „ИМЕРЕТИ“, Василію Челидзе. 1074

ამით საყოველთაოდ ვაცხადებ, რომ **ცნობილი**
პასხალიდის
აბრეშუმის თესლი
ჩვეულებისამებრ **იყიდება მ. გ. რუსიძის კანტორაში**
ბათუმში, მარინსკი პროსპექტზე, საკუთარ სახლში № 10.

სამუდამო და შეურყეველი გადაწყვეტილებაა: თესლს რაც უფრო ადრე დაიბარებენ მყიდველები, იმდენ და უფრო იაფად შეიძენენ, რაც გვიან, იმდენად ფასი მატულობს. **პასხალიდის თესლის მუდმივ მყიდველებს კანტორა** ამით მოაგონებს, რომ თესლი დროიანად დაიკვეთონ, ვინაიდან, როგორც გაზეთებშიაც იყო აღნიშნული, ბალკანეთის ომის გამო, წელს თესლების გამოსასვლელი გზა დაკეტილია (მხოლოდ მცირედენმა გამოასწრო გზის დაკეტვას), რის გამოც მოსალოდნელია, ბევრი მეაბრეშუმე დარჩეს უთესლოთ.

ტფილისისა. ქუთაისისა და ბათუმის გუბერნიების ერთად-ერთი წარმომადგენელი პასხალიდის აბრეშუმის თესლისა **მ. გ. რუსიძე.** 1079

ქ. შ. წერა-კითხ. გამ. საზოგ. წიგნის მაღაზიაში
იყიდება საყმაწვილო წიგნები:

ოქროს ფული. ლ. ფალავას გადმოკეთებული ქ. 1911 წ. ფ. 2 კ.
მოთხრობათა კრებული. ივ. ყიფიანის გადმოკეთებული ქ. 1911 წ. 2 „
იოანე სარდალი. ნათ. ი. ყიფიანისაგან ქ. 1912 წ. 3 „
მირიელ ეპისკ. ვიქ. ჰიუგოდან. ნათ. ჩერქეზიშვილისა. 2 „
სამი მოთხ.: ბიჩერ-სტოუ, გულკეთილი ებრაელი, ავია თუ კარგი. ნათ. დ. ნ—ვისაგან ქ. 1912 წ. 3 „
სინიდისის ხმა. ვ. ნ—ძისაგან გადმოკეთებ. ქ. 1911 წ. 2 „
სოფელი კურთხეულა. გადმოთარგმნილი არ. დადიანის ქ. 1911 წ. 3 „
მოგზაური. გამოკ. ლ. ელიაშვილისაგან ქ. 1911 წ. 2 „
ცხოვრების გზა. ალ. ჯირაქამის თარგ. ქ. 1911 წ. 2 „

ახალი წიგნები და სურათები:

სიტყვანი დავით ეპისკოპოსისა. ტფ. 1912 წ. ფ. 10 კ.
Статьи и замѣтки по грузинскому церковному вопросу. პროფ. ა. ა. ცაგარლისა, პეტ. 1912 წ. ფ. 1 მან.
ვლ. მესხიშვილის სურათი დიდი 50 „
ქართ. არტისტ. ჯგუფის სურათი დიდი 50 „

ადრესი: Тифлисъ О-ва распр. грамотности сред. гр. нас. 1141

მიიღეთ საუკეთესო გემოს მარცვლოვანი,
ქვირითის (კათმ.) ზიზილალა,
თევზის მრეწველნი
გამოხული ქერის სელიოტკები,
და ყოველგვარი
კონსერვები.
ძმ.
ძევლოვები.
პუშკინის ქ., საკუთარი ს. № 9.
ტელეფონი № 712.
მოგვდის მუდამ დიდ საკუთარი ხის მრეწველობიდან ახალი თევზი, ხიზილალა, (ქოტკა), როგორიც, თართი, ტარაანა, ლოქო და სხვა. და აგრეთვე ყოველ დროს იყიდება მოხარშული დოში, ზურგილი და ყოველგვარი
ჯამი ხიზილალა
1131

ტფილისი მუხრანის ქუჩა, სტამბა „შრომა“.